ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ბრეგვაძე მარია

ნაყოფია ნინო

აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობასთან დაკავშირებული საფრთხეები

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

სოციოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური დაპირისპირება ომში გადაიზარდა. ომის შედეგად ათასობით ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და მიეღო დევნილობის სტატუსი.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს ბევრი მსხვერპლი ჰყავს, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა ათასობით დევნილი, რომელთა საჭიროებები კვლავაც დაუკმაყოფილებელია. ასევე ყურადსაღებია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ეთნიკურად ქართველების მდგომარეობა, რადგან არსებობს საფრთხე რომ დე-ფაქტო მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ისინი დაკარგავენ ქართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის განცდას.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა გალში ცხოვრობს. კვლევის ფარგლებში საყურადღებო და მნიშვნელოვანია გალში მცხოვრები ქართველების ყოველდღიურობის, მათი ცხოვრების წესის, უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კონტექსტის გათვალისწინება - გალში მცხოვრებ ქართველებს ყოველდღიურად უწევთ რთულ გარემოებებთან შეჯახება. რეალობა მძიმეა - აფხაზეთში სრულად აკრძალულია ქართულ ენაზე სწავლება, განათლების სისტემაში არსებული კოლაფსი სავალალო შედეგებს იწვევს: გალელები შორდებიან ქართულ ენას, კულტურას. აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ცდილობს მათში ქართული ეთნიკური იდენტობის მარკერების გაქრობას, ამ რეალობის ფონზე დგება გაუცხოების საშიშროება.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის საფრთხეების შესწავლა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები: ვიკვლიოთ, თუ როგორ შეცვალა რუსულმა პროპაგანდამ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ქართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის განცდა; ასევე იმის დადგენა თუ რა საფრთხესთანაა დაკავშირებული ქართული ენის გაქრობა აფხაზეთში. საინტერესოა, აფხაზეთის განათლების სისტემაში არსებული

კოლაფსის შეფასება, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ცნობიერებაზე; როგორ მიმდინარეობს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ემოციური კავშირის წყვეტა ქართულ კულტურასთან; მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ჩართულობის ხარისხის გარკვევა აფხაზეთში ქართული კულტურისა და ეთნიკური იდენტობის გადარჩენა-შენარჩუნების საკითხში, აგრეთვე რესპონდენტების სამომავლო პროგნოზისა და განწყობების დადგენა.

კვლევა ჩატარებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების - მარია ბრეგვაძისა და ნინო ნაყოფიას თანაავტორობით.

კვლევის პროცესში მონაწილეობა თანაბრად მიიღო ორივე ავტორმა. იგულისხმება როგორც კვლევის დიზაინის შედგენა, ასევე მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის პროცესში გაწეული შრომა. კვლევის ავტორებმა თანაბრად იმუშავეს ნაშრომის როგორც შინაარსობრივ ნაწილზე, ასევე მის ტექნიკურად გამართვაზე.

სარჩევი

თავი 1: შესავალი 5

1.1 საკვლევი საკითხის დასმა და აქტუალობის დასაბუთება 5

1.1 კვლევის მიზანი: 7

1.3. კვლევის ობიექტი და საგანი 8

1.4. ძირითადი ცნებების ინტერპრეტაცია 9

1.5. ჰიპოთეზები 13

1.6. შერჩევა 15

1.7. მონაცემების მოპოვების მეთოდები 16

1.8.მონაცემთა ანალიზის მეთოდები: 17

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა 18

თავი 3. კვლევის შედეგები 28

3.1. რუსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის ერთობლივი ქმედებით გავრცელებული პროპაგანდა 28

3.2. ოკუპანტების მიერ მეგრელების ცალკე ერად წარმოჩენის მცდელობა - სეპარაცია ქართველებისგან 31

3.3. განათლება და ქართული ენა როგორც მთავარი იარაღი ქართული იდენტობის გაქრობისთვის 33

3.4. გალში მცხოვრები ქართველების ოკუპანტების მიერ დაგეგმილ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებებში ჩართულობა 37

3.5. აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებრივი მდგომარეობა 39

3.6. გალის ქართველებისგან დაცლის საშიშროება 46

3.7. საქართველოს სახელმწიფოს ჩართულობა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების პროცესში 49

3.8. რესპონდენტების სამომავლო პროგნოზი და განწყობა -დამოკიდებულება 53

თავი 4 . ძირითადი მიგნებები 56

4.1 შემაჯამებელი დასკვნა 58

თავი 5. რეკომენდაციები 61

გამოყენებული ლიტერატურა 63

თავი 1: შესავალი

1.1 საკვლევი საკითხის დასმა და აქტუალობის დასაბუთება

მე-20 საუკუნის ბოლოს განსაკუთრებით დაიძაბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ამ დაძაბულობამ მიიღო ეთნიკური სახე, რამაც ხელი შეუწყო საომარი მოქმედებების დაწყებას. აფხაზეთის ომმა რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს 30 000-მდე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, 300 000-მდე ადამიანს კი დევნილის სტატუსი მიენიჭა. (კოკაია & ჭუმბურიძე, 2022)

ომის დასრულების შემდეგ, აფხაზეთმა თავი ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადა, საქართველო დღემდე არ აღიარებს აფხაზების ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნულ ფაქტს ოკუპაციად მიიჩნევს.

აფხაზების ცნობიერებაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ აფხაზეთი მხოლოდ მათ ეკუთვნით, ცდილობენ სისრულეში მოიყვანონ ეთნიკური ჰომოგენიზაციის პროცესი. თუმცა ამ კუთხით ეჯახებიან ბარიერს, რომელიც აფხაზეთში გალელების ფიზიკურ არსებობას უკავშირდება. (თორია, 2022) დღევანდელი მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძირითადად გალში, ბევრი ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს. აფხაზებს არ აქვთ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გალში მცხოვრები ქართველების მიმართ, შესაბამისად ახორციელებენ აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს: მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვას, ხარისხიანი განათლების მისაღებად წვდომის შეზღუდვას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს პროპაგანდის გავრცელება, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია და ქართულ იდენტობაზე შეტევა.

(ჩიჩუა, 2018) ამ პირობების გათვალისწინებით, არსებობს საფუძვლიანი საფრთხე, რომ აფხაზეთში დაიკარგება ქართული ეთნიკური იდენტობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ენა იდენტობის განსაზღვრის პროცესში ძალიან დიდ როლს ასრულებს. აქედან გამომდინარე, აფხაზეთში ქართული ენის გაქრობის მცდელობა არის სახიფათო ქმედება, რომელიც ნეგატიურ გავლენას მოახდენს მომავალი თაობის ცნობიერებაზე.

გალში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები აწყდებიან უამრავ პრობლემას, იმყოფებიან დილემის წინაშე- დარჩნენ თუ დატოვონ თავიანთი მშობლიური მიწა. ეს დიდწილად განპირობებულია იმით, რომ არ არსებობს ობიექტური სასამართლო სისტემა, რომელიც გალში მცხოვრები ქართველების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობს ორმხრივი უნდობლობა. (Human Rights Watch, 2011)

2014 წლიდან აფხაზებმა დაიწყეს აქტიური შეტევა ქართულ იდენტობაზე, რაც გულისხმობდა განათლების სისტემიდან ქართული ენის ამოძირკვას. საწყის ეტაპზე, მათ დაიწყეს ქართული ენისა და ლიტერატურისთვის განკუთვნილი საათების შემცირება. 2015 წელს კი, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ სწავლება სრულად გადაიყვანა რუსულ ენაზე. ეს ფაქტი მეტყველებს დე-ფაქტო მთავრობის აგრესიულ პოლიტიკაზე, რომელიც ემსახურება გალში მცხოვრები ქართველების ეთნიკური იდენტობის შეცვლას. გატარებული პოლიტიკის შედეგად, იცვლება განათლების ხარისხი, რომელიც სამომავლოდ გავლენას იქონიებს ახალგაზრდების განათლების დონეზე, რაც შეაფერხებს მათ აკადემიურ განვითარებას. (ზურაბაშვილი, 2016)

ასევე, საყურადღებოა, რუსეთის მიერ გავრცელებული პროპაგანდა აფხაზეთში. აფხაზები თავს დამოუკიდებელ ავტონომიურ რესპუბლიკად მიიჩნევენ, თუმცა მათ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთი. აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის პრობლემაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა: რუსეთი ცდილობს რეალობისგან განსხვავებულ, არაობიექტური დამახინჯებული მოცემულობის შექმნას. მოვლენების

თავიანთ ინტერპრეტაციას. (Cichocka, 2021) ამ ქმედებით, ცდილობენ გალში მცხოვრები ქართველების დამოკიდებულებების მათ სასარგებლოდ შეცვლას. ოკუპანტები ცდილობენ ქართველებს დააჯერონ რეალობისგან, სიმართლესთან შეუსაბამო ნარატივი, რომელიც გაჯერებულია მათ მიერ ინტერპრეტირებული ისტორიით.

ზემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს პრობლემის სიმძაფრესა და აქტუალობას - აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის საფრთხეებთან დაკავშირებით. კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს- მოცემული დრამატული რეალობის საფუძველზე რამდენად ხერხდება ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში.

1.1 კვლევის მიზანი:

აღნიშნული კვლევის მიზანია, აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობასთან დაკავშირებული საფრთხეების შესწავლა. იმის დადგენა თუ რა მდგომარეობაა ისეთი კულტურული მახასიათებლების კუთხით როგორიცაა ენა, განათლება, ტრადიციები და როგორ ასუსტებს რუსული პროპაგანდა ქართველ მოსახლეობაში კულტურული იდენტობის ამ ელემენტებს.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა შემდეგი ამოცანები:

1. მიმოვიხილოთ ისტორიული კონტექსტი; (ვიკვლიოთ თუ როგორ შეცვალა რუსულმა პროპაგანდამ აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების ქართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის განცდა)
2. ვიკვლიოთ, აფხაზეთში ქართული ენის გაქრობასთან დაკავშირებული საფრთხეები - ენა როგორც კულტურის განმსაზღვრელი და ინდიკატორი;
3. დავადგინოთ, აფხაზეთის განათლების სისტემაში არსებული კოლაფსი, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ცნობიერებაზე;
4. ვიკვლიოთ, როგორ მიმდინარეობს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ემოციური კავშირის წყვეტა ქართულ კულტურასთან;
5. ვიკვლიოთ, რამდენად საკმარისია საქართველოს მთავრობის ჩართულობა - აფხაზეთში ქართული კულტურისა და ეთნიკური იდენტობის გადარჩენა-შენარჩუნების საკითხში;
6. დავადგინოთ, როგორია ექსპერტებისა და დევნილების მომავლის განწყობები და პროგნოზი, ქართული კულტურისა და ეთნიკური იდენტობის გაქრობის საფრთხეებთან დაკავშირებით.

1.3. კვლევის ობიექტი და საგანი

რუსულმა პროპაგანდამ დრამატულად შეცვალა აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ცნობიერება. რუსეთის იმპერია დღემდე აგრძელებს აფხაზეთში საკუთარი - აგრესიული პოლიტიკის გატარებას. ოკუპაციის შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად დაიძაბა. ქართული კულტურა და ეთნიკური იდენტობა აფხაზეთში ნელ-ნელა ქრება. ადამიანები ნებსით თუ უნებლიეთ გახდნენ რუსული ცხოვრების სტილის მატარებლები. აღნიშნული კვლევის ობიექტს აფხაზეთიდან დევნილი პირები და ის ექსპერტები წარმოადგენენ, რომლებსაც გარკვეული როლები გააჩნიათ აღნიშნული პრობლემის მოგვარება/დასტაბილურებაში. ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს, თუ რა საფრთხეებთან არის დაკავშირებული აფხაზეთში ქართული კულტურისა და ეთნიკური იდენტობის გაქრობა.

1.4. ძირითადი ცნებების ინტერპრეტაცია

1. **კულტურა** - კულტურა განისაზღვრება, როგორც საზოგადოების გამორჩეული სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ხელოვნებას და ლიტერატურას, არამედ ცხოვრების წესს, ღირებულებათა სისტემებს, ტრადიციებსა და რწმენას. (UNESCO, 2009)

   კულტურის ინდიკატორები *- ცხოვრების წესი, ენა, ღირებულებები, ნორმები, ტრადიციები და ა.შ.*

2. **ენა**- სალაპარაკო, წერილობითი სიმბოლოების სისტემა, რომლის საშუალებითაც ადამიანები, როგორც სოციალური ჯგუფის და კულტურის წევრები, გამოხატავენ საკუთარ თავს. ენის ფუნქციები მოიცავს კომუნიკაციას, საკუთარი იდენტობის გამოხატვას, წარმოსახვისა და გარკვეული ქცევების რეალიზებასა და ემოციურ განთავისუფლებას. (Britannica, 2023)

   ენის ინდიკატორები: *ლინგვისტური მახასიათებლები. კომუნიკაციისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ განცდებს, აზრებს, გრძნობებს, ემოციებს.*

3. **იდენტობა**- იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალურობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ

კატეგორიასთან (სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, კულტურა, ეროვნება, ასაკი, სქესი, პროფესია და ა. შ.) (წოწკოლაური, 2021)

იდენტობის ინდიკატორები: *ინდივიდი იდენტობას ახდენს რამდენიმე ნიშნის მიხედვით: ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური. ეს არის ის სამკუთხედია რომელიც ყოველი ინდივიდისა და ინდივიდთა ჯგუფს ქვაკუთხედს ქმნის.* (წოწკოლაური, 2021)

4. **თვითიდენტიფიკაცია** - საკუთარი პიროვნების თვითშეცნობის პროცესია და ინდივიდის სოციალიზაციის, საზოგადოებაში ინტეგრაციის შედეგად ყალიბდება. (წოწკოლაური, 2021)

თვითიდენტიფიკაციის ინდიკატორი: *რელევანტური ნიშნებია: ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია, ენობრივი თვითიდენტიფიკაცია, რელიგიური თვითიდენტიფიკაცია, ფსიქოლოგიური თვითიდენტიფიკაცია, სოციალური თვითიდენტიფიკაცია, სექსუალური თვითიდენტიფიკაცია, პროფესიული თვითიდენტიფიკაცია.* (წოწკოლაური, 2021)

5. **ოკუპაცია-** რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება. (ლექსიკონი, 1989)

ოკუპაციის ინდიკატორები: ძალადობრივი ხერხით სხვა ქვეყნის ტერიტორიის მიკუთვნება და იმ ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრა, სამხედრო ძალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

6. **დე-ფაქტო მთავრობა** - ყოველი რევოლუციის ან სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსული ხელისუფლება დე ფაქტო ხელისუფლებაა. ის ფაქტობრივად არსებობს იმისდა მიუხედავად, კანონიერია თუ არა. ფაქტობრივად დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ მის დამოუკიდებლობას არ ცნობს მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო. (სოციალურ და ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი, 2004)

დე-ფაქტო მთავრობის ინდიკატორები *- თვითგამოცხადებული ქვეყანა, სოციალური,პოლიტიური,ეკონომიკიური და კულტურული იზოლაცია.*

7. **იძულებით გადაადგილებული პირი, დევნილი** - საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო (საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში) იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. (პარლამენტი, 2005)

დევნილობის ინდიკატორები: *ინდივიდი, რომელსაც ენიჭება დევნილის სტატუსი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა*

და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და მას აქვს დევნილის დამადასტურებელი მოწმობა.

8. **პროპაგანდა -** პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, მიზნად ისახავს შექმნას და განამტკიცოს ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროპაგანდისტისთვის და ხელს შეუწყობს მისი პოლიტიკის განხორციელებას. (სოციალურ და ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი, 2004)

პროპაგანდის ინდიკატორები: *„იარლიყის მიწებება“, დეზინფორმაციის გავრცელება, საზოგადოების დამორჩილება და გადაბირება, ნეგატიური წარმოდგენების ჩამოყალიბება არსებულ რეალობაზე.*

9. **ასიმილაცია -** რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხში. (ლექსიკონი, 1989)

ასიმილაციის ინდიკატორები: *იდენტობის დაკარგვა სხვა კულტურის გავლენების შედეგად. სხვა კულტურისა და იდენტობების ისტორიული გამოცდილებისა და მეხსიერების შეძენა, დათრგუნული კულტურა.*

10. **გაუცხოება-** ვინმეს გამიჯნულობა საკუთარი ჭეშმარიტი ან არსებითი ბუნებისგან. (ჰეივუდი)

გაუცხოების ინდიკატორები *- კავშირის წყვეტა საკუთარ კულტურასთან, სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისგან, საკუთარი გამოცდილებისგან და საკუთარი თავისგანაც კი.*

11. **მარგინალიზაცია** - სოციალური მოვლენა, ცნება, რომელიც ადამიანის მდგომარეობის „შემოსაზღვრას“, გარიყვას აღნიშნავს რომელიმე სოციალური ჯგუფის (ჯგუფების) მიერ. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, n.d.)

მარგინალიზაციის ინდიკატორები - სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩაურთველობა, გარიყვა.

1.5. ჰიპოთეზები

1. **პირველადი ჰიპოთეზა** - რუსულმა პროპაგანდამ შეცვალა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ქართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის განცდა.

მეორადი ჰიპოთეზა - რუსულმა პროპაგანდამ არ შეცვალა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ქართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის განცდა.

2. **პირველადი ჰიპოთეზა** - აფხაზეთში ქართული ენა, როგორც კულტურის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი - ქრება.

   მეორადი ჰიპოთეზა -აფხაზეთში ქართული ენა, როგორც კულტურის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი - არ ქრება.

3. **პირველადი ჰიპოთეზა** - აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა განათლებას იყენებს მანიპულაციის იარაღად, იმისათვის რომ გავლენა მოახდინოს მოსახლეობის ცნობიერებაზე და ნეგატიურად განაწყოს ქართულის მიმართ.

   მეორადი ჰიპოთეზა - აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა განათლებას არ იყენებს მანიპულაციის იარაღად, იმისათვის რომ გავლენა მოახდინოს მოსახლეობის ცნობიერებაზე და ნეგატიურად განაწყოს ქართულის მიმართ.

4. **პირველადი ჰიპოთეზა** - აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ემოციური კავშირი ქართულ კულტურასთან მიმართებით ქრება.

   მეორადი ჰიპოთეზა - აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ემოციური კავშირი ქართულ კულტურასთან მიმართებით არ ქრება.

5. **პირველადი ჰიპოთეზა** - საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები აფხაზეთში ქართული კულტურის გადარჩენის საკითხთან დაკავშირებით არ არის საკმარისი.

მეორადი ჰიპოთეზა - საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები აფხაზეთში ქართული კულტურის გადარჩენის საკითხთან დაკავშირებით საკმარისია.

1.6. შერჩევა

აღნიშნული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ - როგორც აფხაზეთიდან დევნილი პირები, აგრეთვე ის ექსპერტები, რომლებიც გარკვეულნი და პასუხისმგებელნი არიან ამ საკითხთან მიმართებით. შერჩევა მიზნობრიობით ხასიათდება. ვინაიდან საკვლევი საკითხი გამოირჩევა სპეციფიკურობითა და კომპლექსურობით, დაწესდა ასაკობრივი შეზღუდვა, რადგან აღნიშნული საკითხი გარკვეულ გამოცდილებებსა და ცოდნას მოითხოვს. კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ 21 წელს ზემოთ მყოფი პირები. კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების მიხედვით, გამოვლინდება კვლევისთვის აუცილებელი და საინტერესო ინფორმაცია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთიდან დევნილი ადამიანების რეკრუტირების პროცესისთვის შეირჩა ე.წ. ,,თოვლის გუნდის'' მეთოდი, რადგან როგორც აღინიშნა - საკითხი ხასიათდება სპეციფიკურობით. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით, შეირჩევა რესპონდენტთა ის ჯგუფი, რომელიც ხასიათდება გარკვეული გამოცდილებებით. რესპონდენტთა იმ ნაწილისთვის, რომლებიც დარგის ექსპერტებს წარმოადგენენ, შეირჩა მიზნობრივი შერჩევის სახე - ექსპერტული შერჩევა.

მონაწილე ექსპერტები:

ექსპერტი N 1	კონფლიქტოლოგი.
ექსპერტი N 2	კონფლიქტოლოგი, მშვიდობის აქტივისტი
ექსპერტი N 3	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი
ექსპერტი N 4	ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი
ექსპერტი N 5	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი
ექსპერტი N 6	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი

1.7. მონაცემების მოპოვების მეთოდები

კვლევის ფარგლებში ჩატარდება როგორც სიღრმისეული ინტერვიუები, ისე ფოკუს ჯგუფები. [ჩატარდება 6 ექსპერტული ინტერვიუ და 2 ფოკუს ჯგუფი]_ფოკუს ჯგუფის მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მოკლე დროში, მცირე რესურსების დაზოგვით უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას. ამას გარდა -

ფოკუს ჯგუფის მეთოდი იძლევა საშუალებას მონაცემები მოვიპოვოთ ჯგუფური ინტერაქციის გზით. კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა ენგურს გამოღმა მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის განწყობების შესწავლა [ქართული კულტურისა და ეთნიკური იდენტობის გაქრობასთან დაკავშირებით] და მათი გამოცდილებების გარკვევა. შერჩევისა და კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფოკუს ჯგუფის მეთოდი საშუალებას მოგვცემს დევნილების გამოცდილებებისა და განწყობების შესახებ ინფორმაცია „ბუნებრივ“, გარემოში მოვიპოვოთ. ფოკუს ჯგუფის მეთოდი ახლოა უშუალო, ყოველდღიურ საუბართან, ისტორიების მოყოლასთან, კამათთან, მსჯელობასთან. აღსანიშნავია, რომ დევნილების ჯგუფი საკმაოდ სენსიტიური ჯგუფია. შესაბამისად, საზიარო გამოცდილების მქონე ადამიანების გარემოში ყოფნა დაეხმარებათ რესპონდენტებს საკუთარი აზრი დაძაბულობის გარეშე გამოხატონ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის პროცესში, ჯგუფური ინტერაქციის შედეგად ხდება ახალი იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რაც „ჯგუფის სინერგიული ეფექტის“ სახელწოდებითაა ცნობილი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა. (წულაძე, 2020)

აღნიშნული კვლევის სამიზნე ჯგუფს ასევე წარმოადგენენ დარგის ექსპერტები. ამ შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ოპტიმალური მეთოდია სიღრმისეული ინტერვიუ, სადაც გამოვიყენებთ ნახევრად სტრუქტურირებულ კითხვარს. ინტერვიუს ეს მეთოდი საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ ექსპერტების შეხედულებებს, წარმოდგენებს, გამოცდილებებს, რაც დაგვეხმარება შემდგომი დასკვნების გაკეთებაში.

1.8.მონაცემთა ანალიზის მეთოდები:

ფოკუსჯგუფების მონაცემების ანალიზამდე გაიშიფრება ინტერვიუების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, მომზადდება ტრანსკრიპტები, რასაც მოჰყვება მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციის ეტაპი. მონაცემთა ანალიზის პროცესში გამოვიყენებთ კონტენტანალიზს, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოპოვებული ინფორმაცია

გავაანალიზოთ, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობირივი კომპონენტებით. რაოდენობრივ კონტენტანალიზს გამოვიყენებთ ტენდენციების, განმეორებადი მონაცემების დასადგენად, ხოლო თვისებრივი კონტენტანალიზი დაგვეხმარება დავადგინოთ და ავხსნათ, თუ რა იქნება არსებული განსხვავებებისა და ტენდენციების მიზეზები. (წულაძე, 2020)

ანალოგიურად, სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზამდე გაიშიფრება ინტერვიუს აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, რასაც მოჰყვება კოდირება-კატეგორიზაციის პროცესი. ამის შემდეგ მოხდება მონაცემების ლოკალური და ინკლუზიური ინტეგრაცია. ლოკალური ინტეგრაციის პროცესში თითოეული კოდის ქვეშ თავმოყრილი ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია მოხდება, რაც შეეხება ინკლუზიურ ინტეგრაციას- ამ შემთხვევაში ინფორმაციის ცალკეულ ელემენტი ერთმანეთთან მიმართებით გაანალიზდება, ინტერპრეტირდება და ერთიან ტექსტად გაერთიანდება. (წულაძე, 2020)

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

აფხაზეთი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეულია, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია სოხუმი, ხოლო სახელმწიფო ენებად ქართული და აფხაზური მიიჩნევა. (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, n.d.)

1917 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა- საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში რამდენიმე პოლიტიკური მიმდინარეობა არსებობდა. იყვნენ როგორც საქართველოს გაერთიანების მომხრეები, ასევე ჩრდილო კავკასიასთან ერთობის მსურველები. საბოლოოდ, საქართველოსთან გაერთიანების იდეამ გაიმარჯვა

და აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურობის პირობით შევიდა. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2021)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ღრმა ისტორიული ფესვებით ხასიათდება. საუკუნეების მანძილზე ამ ადამიანებს შორის მჭიდრო, დადებითი, კეთილგანწყობილი ურთიერთობა არსებობდა. ქართულ კლასიკურ ლიტერატურაშიც აფხაზის ხატი იყო გმირობის, ვაჟკაცობისა და ერთგულების სიმბოლო. თუმცა საბჭოთა კავშირმა, მისი კომუნისტური მანკიერი პოლიტიკით, ბზარი გააჩინა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. საბჭოთა კავშირი პროვოკაციული ჩართვებით ცდილობდა ამ ორი მხარის ერთმანეთთან დაპირისპირებას, მიზანი კი საქართველოს დამორჩილება და მისი კონტროლქვეშ მოქცევა იყო. ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო - ერთი მხრივ, აფხაზები აქტიურად ითხოვდნენ საქართველოსგან გამოყოფას, ხოლო მეორე მხრივ ქართველები აპროტესტებდნენ აფხაზების აღნიშნულ მოთხოვნას. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2021)

აქვე უნდა აღინიშნოს ის სავალალო მდგომარეობა, რომელიც კულტურულ ძეგლების წინაშე დგას. აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უდიდესი ნაწილი სერიოზული საფრთხის წინაშეა. რაც შეეხება ქართული ისტორიული კვალის წაშლას, აღნიშნული პროცესი მიზანმიმართულად მიმდინარეობს ოკუპანტი რუსეთი მიერ. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს საუკუნეების წინ ჩაუტარდათ ე.წ რესტავრაცია და სრულიად დაკარგეს პირვანდელი სახე - ილორი, ბედია, დრანდა, წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის ტაძარი, ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. შემზარავია ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიის მიერ წარსულში თეთრად გადაიღება ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, დრანდის ტაძარი და სხვა. (თარხნიშვილი, 2014)

რუსეთისთვის აფხაზეთის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა საკმაოდ ხელსაყრელი იყო იმისთვის, რომ პირადი ინტერესები განეხორციელებინა და ეს მხარე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. რუსეთის იმპერიის მცდელობები მე-19 საუკუნის დასაწყისშიც იკვეთებოდა. რუსეთის იმპერია აქტიურად ასახლებდა მისი ინტერესის გამზიარებელ ერებს - რუსებს, სომხებს ბერძნებს და თავის მხრივ ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობას,

რომელიც უპირისპირდებოდა ამ რეჟიმს, რაცხავდა „მუჰაჯირებად“ ან ქვეყნიდან აძევებდა. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2021) მსგავსია ჩინეთ-ტიბეტის გამოცდილებაც. ჩინეთი აქტიურად ეწევა ჩინეთის მოსახლეობის მიგრირებას ტიბეტში, ეს ემსახურება ეთნიკურად ტიბეტელების უმცირესობად ქცევას, რაც ჩინეთს დაეხმარება საკუთარი მიზნების განხორციელებაში. (FreeTibet, n.d.)

1980-იან წლებში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები შესამჩნევად დაიძაბა, თუ მანამდე ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას არ მიუღია ეთნიკური ხასიათი, საბჭოთა კავშირის კრიზის პერიოდში კონფლიქტმა ეთნიკური სახე მიიღო. აღსანიშნავია, რომ ეს დაძაბულობა 1992-93 წლებში ომში გადაიზარდა. აფხაზეთის დატოვება მოუხდა ქართული მოსახლეობის დიდ ნაწილს (დაახლოებით 245 ათასი). აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე იმყოფებიან რუსეთის საოკუპაციო ჯარები, რასაც საქართველო ოკუპაციად აღიარებს. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2021)

უნდა აღინიშნოს ის, რომ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა დასახლებულია გალში, სადაც 30 000-40 000 ათასამდე ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს. (შიში და გაურკვევლობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები გალში, 2019) გალი ერთადერთი რეგიონია აფხაზეთში, რომლის მოსახლეობა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე უმთავრესად ქართველებისგან შედგებოდა. ომის დასრულების შემდეგ კი სხვადასხვა მონაცემით ორმოციდან-სამოც ათასამდე ადგილობრივი ქართველი მიუბრუნდა იქ თავის სახლ-კარს. მათი ლეგალური უფლებები და სტატუსი მუდმივი განხილვისა და მანიპულაციის საგანია. (ოთხოზორია, 2022)

აფხაზეთი დღესდღეობით ფორმალურად ინარჩუნებს ავტონომიას, თუმცა რუსეთის გავლენების ქვეშ არის მოქცეული. რუსული პროპაგანდა საკმაოდ მძლავრად მუშაობს აფხაზეთში, რუსეთი აქტიურად ეწევა ანტიქართველურ პოლიტიკას. ჯერ კიდევ ღრმა წარსულიდან რუსეთის სახელმწიფო უნერგავდა აფხაზებს აზრს, რომ ქართველები არიან მათი მტრები, რომ ისინი მხოლოდ მე -19 საუკუნეში დასახლდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამტკიცებდნენ, რომ ის მიწა მთლიანად აფხაზებისაა და ქართველები მათი კულტურის შთანთქმასა და გაქრობას აპირებდნენ. (ცაავა, 2015)

მიუხედავად იმისა, რომ ეს არც თუ ისე ახალი ნარატივია, ამით აპელირება დღესაც ხდება. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში შეინიშნა აფხაზი ახალგაზრდების განსაკუთრებული აქტიურობა სოციალურ ქსელში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა და არ ეკუთვნის არც საქართველოს და არც რუსეთს. ახალგაზრდების თქმით, ქართველები აფხაზების ისტორიიდან წაშლას ცდილობდნენ, ამბობენ, რომ უკრაინის ომმა უფრო მეტად შეუწყო ხელი ქართველების მხრიდან ისტორიის „გაყალბებას", რომ რეალურად აფხაზეთის ომში მსხვერპლი აფხაზეთია - აგრესორი კი საქართველო და არა რუსეთი. ეს განწყობები იმ მრავალწლიანი პროპაგანდის შედეგია, რომელსაც რუსეთი ახორციელებს. (ბელქანია, 2022)

საინტერესოა იმის აღნიშვნა, თუ რას ამბობს ფრანგი სოციოლოგი მ.ფუკო. ფუკოს თანახმად გარკვეული საუბარი და ტექსტი არ გულისხმობს მხოლოდ ფაქტების გავრცელებას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნათქვამი, არამედ ის თუ ვის მიერ, ვისი კარნახით არის გადაწყვეტილება მიღებული და ვინ აკონტროლებს - რა უნდა ითქვას, რაზე შეგვიძლია საუბარი, რისი ცოდნის უფლება გვაქვს. გადაწყვეტილებების მიმღებნი აკონტროლებენ იდენტობებსაც. (წულაძე, 2020) თუ დავუბრუნდებით ჩვენს საკითხს, ამ შემთხვევაში კულტურის, აზრის, ცოდნის, ემოციების მაკონტროლებელი, გადაწყვეტილების მიმღებია კრემლი, რომელიც ქმნის ანტიქართველურ და ანტიდასავლურ დისკურსებს აფხაზეთში.

,,ენა არის ყოფიერების სახლი''. (მ.ჰაიდეგერი,1978) თუ ისტორიულ ფაქტებს გავიხსენებთ, რუსეთის იმპერიალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი ქვეყნის დასამორჩილებლად იყო იდენტობის ისეთ განმსაზღვრელ ნაწილზე შეტევა, როგორიცაა ენა. საბჭოთა კავშირის დროს რუსეთს ჰქონდა მცდელობები, ქართული ენა მაქსიმალურად შეეზღუდა. მსგავს შემთხვევას ვაწყდებით აფხაზეთში, სადაც აქტიურად მიმდინარეობს გარუსების პოლიტიკა, ერთ-ერთ საშუალებად კი გამოიყენება ქართული ენის შეზღუდვა. რუსეთის მიერ ენაზე შეტევა ემსახურება იმას, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს ქართული იდენტობა და კულტურა აფხაზეთში. რუსული და აფხაზური მხარეები ქართული ენის შეზღუდვითა და აკრძალვით ცდილობენ ადგილობრივი ქართველების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კავშირების

შესუსტებას, რაც დაეხმარებათ გაამყარონ პოზიციები და თავიანთი მმართველობა გალის რეგიონში. (ზურაბაშვილი, 2016)

რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზური ენა არ იდევნება, თუმცა სასაუბრო ენა რუსულია. რუსული ენის გავლენა თანდათან ანაცვლებს მშობლიურ აფხაზურს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებში, რომლებიც განათლების სისტემის გაუმართაობით, ფაქტობრივად, ვერ ახერხებენ ქართული ენის შესწავლას. ოკუპანტებმა შექმნეს ისეთი გარემო, სადაც ქრება ქართული ენის გამოყენების საჭიროება. „UNESCO''-ს მონაცემებით, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადებულ აფხაზურს გაქრობა ემუქრება. წლების განმავლობაში ბევრი ნაბიჯი გადაიდგა აფხაზური ენის დაცვისა და გავრცელების კუთხით, თუმცა უშედეგოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზურ ენებს სკოლებში მხოლოდ მეოთხე კლასამდე ასწავლიან, შემდგომ კი რუსულის გაძლიერებული სწავლაა სავალდებულო, შედეგად მოსახლეობის უმრავლესობამ რუსული მშობლიურ აფხაზურზე უკეთ იცის. (შანიძე, 2021)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან აფხაზურმა ადმინისტრაციამ გალის რაიონის თერთმეტივე სკოლის დაწყებით კლასში რუსულ ენაზე გადაიყვანა სწავლება. ენას აქვს მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს ჯგუფში იდენტობისა და სოლიდარობის განცდების შექმნას, ეს არის საშუალება რომლითაც კულტურა და მისი ტრადიციების, ღირებულებების, ნორმების შენარჩუნება და გადაცემა ხდება. ისტორიის მანძილზე, მრავალ საზოგადოებაში ეთნიკურად მცირე ჯგუფების ენობრივი სისტემების აღკვეთა იყო იმ მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა ამ კულტურების დასათრგუნად და გასაქრობად. (The importance of culture, language and identity)

განათლებასთან დაკავშირებული პრობლემა საკმაოდ მწვავეა. 2016 წელს საქართველოს რეფორმების ასოციაციის მიერ, თორნიკე ზურაბაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ პოლიტიკურ დოკუმენტში აღწერილია აფხაზეთის ქალაქ გალში - განათლების კუთხით არსებული მდგომარეობა. ,,მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში''. დოკუმენტში აღნიშნულია ის პრობლემები, რომლებსაც იქ

მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ყოველდღიურად აწყდება. კერძოდ, ქართულ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა. (ზურაბაშვილი, 2016)

ტიბეტი ანექსირებულია ჩინეთის კომუნისტური მთავრობის მიერ. გარდა იმისა, რომ ტიბეტის მოსახლეობის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები შელახულია, ჩინეთი აქტიურად ეწევა მათი კულტურის მოშლის პოლიტიკას. აფხაზეთის გამოცდილების მსგავსად, ტიბეტში სწავლა ჩინურ ენაზე მიმდინარეობს. სკოლები, რომლებიც ტიბეტურ სწავლებაზეა - იხურება. (FreeTibet, თ. გ.)

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის სექტემბრიდან, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით გალის რაიონის ე. წ. ქვედა ზონის თერთმეტივე ქართულენოვანი სკოლის დაწყებით კლასებში სწავლება (1-დან 4-ის ჩათვლით) რუსულ ენაზე გადავიდა და ქართული ენისთვის დათმობილი საკვირაო საათები კიდევ უფრო შემცირდა. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ყოველი მომდევნო კლასი სწავლას გააგრძელებს - რუსულ ენაზე, ამ პრინციპით კი აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ქართულენოვანმა გამოშვებამ სკოლა გასულ წელს დაამთავრა. (ზურაბაშვილი, 2016)

დოკუმენტში აღინიშნა: ,,ქართული ენის, როგორც გალის მოსახლეობის მშობლიური ენის და ეთნიკური ქართველების იდენტობის უმნიშვნელოვანესი ელემენტის შეზღუდვა, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია.'' შედეგად, ვაწყდებით ურთულეს პრობლემას - აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გატარებული სასტიკის პოლიტიკის შედეგად ვერ ფლობს ენას, ვერ იღებს ხარისხიან განათლებას, აწყდებიან უამრავ დეზინფორმაციას. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში ოფიციალურად განათლება რუსეთიდან შემოსული წიგნებით ხორციელდება, დეზინფორმაციის გავრცელება გამარტივებულია. შესაბამისად, გალში მცხოვრები ქართველები არიან რუსული პროპაგანდისა და მათ მიერ დაწესებული არასამართლიანი შეზღუდვების მსხვერპლნი. ის ახალგაზრდები, რომლებიც გალის რაიონში ცხოვრობენ ,,იკარგებიან'', აქედან გამომდინარე, ირღვევა მათი თვითიდენტიფიკაციის პროცესი ქართულ კულტურასთან. (ზურაბაშვილი, 2016)

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას საინტერესოა უცხოური გამოცდილებაც. ისტორიულად, განათლება გამოიყენებოდა, როგორც კოლონიზაციის იარაღი ამერიკელი ინდიელების წინააღმდეგ. სკოლა-ინტერნატების სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც შენიღბული ომი, რომელიც ემსახურებოდა ამერიკის მიერ სრული კულტურული უზენაესობის მიღწევას და ინდიელებში ეთნიკური და კულტურული იდენტობის ეროზიასა და შესუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ ინდიელების გარკვეული ნაწილი ამ პროცესს ეწინააღმდეგებოდა, საკმაოდ დიდი ჯგუფი თვლიდა, რომ სკოლა-ინტერნატები და „ევროპული“ განათლების მიღება მათთვის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი იყო. (Martinez, 2013) მსგავსად- აფხაზების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ რუსულ ენაზე განათლების მიღება დაეხმარებათ ახალგაზრდებს აფხაზეთში და რუსეთში აკადემიური, კარიერული, ეკონომიკური განვითარებისთვის. (ზურაბაშვილი, 2016)

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონში კულტურულ-შემოქმედებითი კუთხით სავალალო მდგომარეობაა. ანსამბლები ერთვებიან რუსეთში დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც ფინანსური მიღების წყაროდაც შეიძლება ჩაითვალოს. ასევე, მათ აქვთ მოლოდინი რომ რუსეთი ხელს შეუწყობს და მიიღებს გალში მცხოვრებ ახალგაზრდობას კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი პირადი ინტერესებისთვის იყენებს და სათავისოდ ცვლის საზოგადოებრივ განწყობებს გალში. (კახიშვილი, 2021)

კულტურის განელების და შეცვლის ერთ-ერთი მიზეზია მიგრაცია, მაგრამ რა ხდება მაშინ როცა ადამიანი რჩება მშობლიურ მიწაზე, თუმცა მაინც უცხოა. აფხაზეთში, გალში მცხოვრები ქართველები საკმაოდ მარგინალიზებულ ჯგუფს წარმოადგენენ, შეზღუდულია მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებები. 2008 წელს, როცა რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, გალში მცხოვრები ქართველებისთვის სავალდებულო გახდა ბინადრობის მოწმობის ან აფხაზური პასპორტის აღება. ეს ნიშნავს, რომ ქართველებს, რომლებიც გალის რეგიონში, საკუთარ სამშობლოში ცხოვრობენ - უწევთ აიღონ დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ეს კი საკმაოდ მტკივნეული და მძიმეა. ეს ნიშნავს იმას, რომ

საკუთარი მიწაზე, სამშობლოში იწოდები „ლტოლვილად“. (შიში და გაურკვევლობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები გალში, 2019)

აღსანიშნავია რომ ბინადრობის მოწმობა, იმის გარდა რომ ღირსების შემლახავია გალში მცხოვრები ქართველი მოქალაქეებისთვის, არ უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. საბუთის აღების შემთხვევაშიც მათ არ აქვთ სახლის ან უძრავი ქონების შეძენის უფლება, არც არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ. მნიშვნელოვანია ვახსენოთ, რომ აფხაზეთის მთავრობა სხვადასხვა მანიპულაციებს მიმართავს, რათა შეასუსტოს აფხაზეთში ქართული კულტურა. ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ჰპირდება, რომ აფხაზური გვარის მიღების შემთხვევაში, პასპორტითა და მოქალაქეობით უზრუნველყოფს. უკეთესი უფლებრივი მდგომარეობის გამო ამ შეთავაზებას ბევრი ქართველი თანხმდება, ზოგი კი თვლის რომ ეს მათი შთამომავლობისთვის შეურაცხმყოფელია. (ზანთარაია, 2019)

საერთო ჯამში, გალში მცხოვრები ქართველები საკუთარ მიწაზე, საკუთარ სახლში თავს პატიმრებად გრძნობენ. (შიში და გაურკვევლობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები გალში, 2019) აფხაზეთში ქართველები არიან ეროვნულ უმცირესობაში, იძულებულები არიან სიცოცხლის, ცხოვრების უფლების შესანარჩუნებლად დაემორჩილონ გაბატონებულ კულტურას, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ყველა მოთხოვნას. (ტოკლიკიშვილი, 2011)

ასიმილაცია აღნიშნავს დომინანტი ჯგუფის მიერ გატარებულ პოლიტიკას ეთნიკური უმცირესობების მიმართ. მათ მიერ გატარებული პოლიტიკა გულისხმობს - ტრადიციული კულტურის გაქრობას. დომინანტი ჯგუფის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, უმცირესობის წარმომადგენელნი იძულებულნი ხდებიან მიიღონ დომინირებული ჯგუფის კულტურული მახასიათებლები. (კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, თ. გ.) დომინანტური კულტურა აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას გავლენის ქვეშ აქცევს. ისინი იძულებულები არიან აითვისონ გაბატონებული კულტურის მიერ შექმნილი სტერეოტიპული წარმოდგენები, რის შედეგადაც ,,იკარგებიან'', უცხოვდებიან საკუთარი კულტურისგან და იდენტობისგან. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც ევროპის მასშტაბით მცხოვრებ ეთნიკური

უმცირესობათა ენისა და ეთნიკური იდენტობის დაკარგვის რისკებს ეხება, აღნიშნულია, რომ იმ პირობებში, როცა სახელმწიფოში კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს აქვს ჰეგემონია, უმცირესობათა ჯგუფები იძულებულნი არიან ზეწოლით ან უკეთესი პირობებისა და შესაძლებლობების გამო, დაივიწყონ თავიანთი ენა. (Schmidt, 2008) იმის გათვალისწინებით რომ აფხაზეთის მთავრობა აქტიურად სთავაზობს გალში მცხოვრებ ქართველებს გვარის შეცვლას უკეთესი საცხოვრებელი პირობებისთვის, შეგვიძლია მსგავს გამოცდილებად განვიხილოთ.

საინტერესოა გალელების მდგომარეობა შევაფასოთ მიდის „სელფის“, „თვითობის“ კონცეფციით. მიდი აღნიშნავს, რომ სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის თუ როგორ ვხედავთ ჩვენ საკუთარ თავს, არამედ ისიც თუ როგორ ვუყურებთ ჩვენს თავებს სხვათა წარმოდგენით. ეს არის გარანტი იმისა, რომ ადამიანმა შეძლოს ჯანსაღი სოციალიზაცია, თუმცა თვითობის ფენომენს აქვს საფრთხეები. მე ობიექტის დომინაციით, როცა ადამიანი საკუთარ თავს სხვების თვალით უყურებს, ჩნდება საფრთხე რომ იგი სოციალური გარემოს მსხვერპლი გახდება, მის ცხოვრებას, გადაწყვეტილებებს წარმართავს ისე, რა მოლოდინიც მის მიმართ გააჩნია გარემოს. გალში მცხოვრები ქართველები, აფხაზეთის მთავრობის სურვილების, უკეთესი ცხოვრების პირობების იმედით ექცევიან გარემოს გავლენების ქვეშ და კარგავენ ინდივიდუალობას, იდენტობას. (კაჭკაჭიშვილი , სოციალური მოქმედების თეორიები, 2001)

ზემოაღნიშნულ პრობლემებში უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოს. მნიშვნელოვანია განხილვა - თუ რა ნაბიჯები გადადგმულა აქამდე საქართველოს სახელმწიფოს მიერ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2010 წელს შეიქმნა ორი უმთავრესი დოკუმენტი: საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სახელმწიფო სტრატეგია - ,,ჩართულობა თანამშრომლობის გზით'' და მისი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ გალის რაიონში არსებულ სკოლებში სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა მოცემული ორი დოკუმენტის ფარგლებში მიმდინარეობს. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია გალში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების

შესაძლებლობისა და ქართულ სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. (ზურაბაშვილი, 2016)

მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია სხვადასხვა პროგრამები გალში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მხარდასაჭერად, ქართველები მიიჩნევენ, რომ მათი უფლებები მაინც შელახულია. ,,გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია'' - აღნიშნული სტატიის თანახმად, გალელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ თბილისი უპირატესობას ანიჭებს აფხაზებს, ხოლო დევნილი მოსახლეობის, გალში მცხოვრები ქართველების საჭიროებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად აფხაზებს აქვთ შესაძლებლობა უფასოდ იმკურნალონ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. რაც შეეხება გალში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას, ისინი ვერ ახერხებენ ამ უპირატესობით სარგებლობას. გალში მცხოვრები ქართველები თავს ორმაგად მარგინალიზებულად აღიქვამენ, როგორც დე-ფაქტო მთავრობის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს მიერ. (თორია, 2022)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალში მცხოვრები მოსახლეობა საკმარისად არ ფლობს ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ შექმნილ პროგრამებზე, შესაბამისად, აუცილებელია, რომ მთავრობამ მოახერხოს დევნილების ინფორმირება, არსებული პროგრამების შესახებ. (ფირანიშვილი, ჯობავა, & მეარაყიშვილი, 2021)

თავი 3. კვლევის შედეგები

3.1. რუსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის ერთობლივი ქმედებით გავრცელებული პროპაგანდა

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტში ჩართულ მხარეებს გააჩნიათ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ კონფლიქტის მოგვარების მიზნით, აუცილებელია ამ პასუხისმგებლობების დანახვა და გააზრება.

აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის საფრთხეებზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ რამდენად ძლიერია ოკუპანტების მიერ გავრცელებული პროპაგანდა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია როგორც მოსკოვის, ასევე აფხაზეთის როლის დანახვა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის როლი და ჩართულობა კონფლიქტის გაღვივებაში აშკარაა, ასევე აუცილებელია აფაზური მხარის პასუხისმგებლობის გააზრება, რომელიც მათ ნამდვილად აქვთ:

„ადგილობრივი წინააღდმეგობებიც იყო და თავისავად აფხაზები რუსეთის ფაქტორს იყენებენ საკუთარი ეთნიკური ინტერესების გასატარებლად. *" (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)*

ერთ-ერთი ექსპერტი, აღნიშნავს, რომ აფხაზეთში გავრცელებულია ნარატივი, თითქოს აფხაზეთის ტერიტორია მხოლოდ აფხაზებს ეკუთვნით. აფხაზებს ახასიათებთ ერთი შეხედვით ეთნოცენტრული ნაციონალიზმი, ამ ნარატივებით კი ცდილობენ ისტორიის ნაციონალიზაციას და ისტორიის პოლიტიკის იარაღად გამოყენებას, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებზე.

ეთნონაციონალიზმი არის ნაციონალიზმის სახე, რის მიხედვითაც ერი მიიჩნევა მთავარ ღირებულებად, შესაბამისად მისი ინტერესების დაცვა, ერთგულება და მისთვის ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ გაგებით ადამიანი, რომელიც განეკუთვნება სხვა ეთნიკურ ჯგუფს, შესაძლოა ითველებოდეს ქვეყნის მოქალაქედ, თუმცა ერის ნაწილად ვერასდროს იქცევა. (სოციალურ და ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი, 2004)

ბაუმანი აღნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოები თავიანთი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ სხვასთან მიმართებით. იმისთვის რომ არსებობდეს ჯგუფი - „ჩვენ“, აუცილებელია არსებობდეს ისეთი ჯგუფიც, რომელსაც ექნება საპირისპირო თვისებები, არსებობდეს რაიმე „სხვა“, რასთან მიმართებითაც „ჩვენ“ ჩამოაყალიბებს საკუთარ იდენტობას. (Bauman , 1998) შეიძლება ითქვას, რომ აფხაზები საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებას ახდენენ ქართველებთან საკუთარი თავის გამიჯვნით, განსხვავებების პოვნით, მათთან შედარებით. ამ პირობებში ახდენენ სოციალური სივრციდან ქართველების ექსკლუზიას და თავიანთი ეთნოცენტრული იდეების რეალიზაციას.

ასევე ითქვა, რომ კონფლიქტური ხედვა გულისხმობს - ყველა მხარის თავის როლში დანახვას. ამ პირობებში კი მნიშვნელოვანია საქართველოს ბრალეულობის დანახვაც, რომელიც კონფლიქტის გაღვივების პროცესში, ასევე ხასიათდებოდა ეთნოცენტრული ნაციონალიზმის ნიშნებით.

„ჩვენ ვუთხარით მათ აფხაზებს, რომ თქვენი ადგილი აქ არ არის და თუ არის, თქვენ ხართ სტუმრები, რადგან თქვენ ჩამოხვედით მთიდან. როცა სამოქალაქო სახელმწიფოში ასე არ უნდა ხდებოდეს.... ჩვენ დავუწყეთ მათ საუბარი როგორც მეორეხარისხოვან ხალხს და არგუმენტები?- ისტორიული.“ (ექსპერტი N1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ექპერტების აზრით, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ცდილობს გალში მცხოვრები ქართველების ცნობიერების თავის სასარგებლოდ შეცვლას, ისტორიის დამახინჯებას, დეზინფორმაციის გავრცელებას, რისი საშუალებითაც ადამიანებს აჯერებენ არაობიექტურ რეალობას. პოსტკოლინიალისტური თეორიის თანახმად, ხდება იმპერიალიზმის კულტურული ასპექტის წარმოჩენა. კულტურული იმპერიალიზმი

ჩაგვრის ერთ-ერთი სახეა, რომელიც არსებული მცირე კულტურის გაქრობას და დომინანტი ჯგუფის კულტურის გაბატონებასა და ჩაგრულისთვის ამის თავსმოხვევას გულისხმობს. (ლექსიკონი ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2016)

ერთ-ერთმა ექსპერტმა გაიხსენა მაგალითი ისტორიის პოლიტიკის იარაღად გამოყენებისა, რომელიც შესაძლოა კულტურული იმპერიალიზმის გამოვლინებად ჩაითვალოს. გალში მცხოვრები ქართველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ადგილობრივებმა გაითავისონ, რომ ისინი ცხოვრობენ აფხაზების ტერიტორიაზე და არა მათ მშობლიურ მიწაზე.

რუსული პროპაგანდა აფხაზეთის ტერიტორიაზე საკმაოდ მძლავრია. რუსეთში არ არსებობს თავისუფალი პრესა და როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, მოქმედებს ე.წ „რუსკი მირის“ პროპაგანდა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებზე, მათ შორის ქართველებზეც.

„ქართულ სივრცეს სრულიად მოწყვეტილები არიან ეს ადამიანები, ტელევიზია, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს და მხოლოდ მათ აქვთ ამის შესაძლებლობა რომ ქართულ ტელევიზიას უყურონ, ვინც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიასთან ახლოს ცხოვრობს.“ (ექსპერტი N 2, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ანტიქართველურ პოლიტიკას ახორციელებს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა, რომელსაც სურს გალში მცხოვრებ ქართველებთან ერთად ,,გარუსდეს''. სწორედ ამიტომ აფხაზები გალში ახორციელებენ ისეთ პოლიტიკას, რაც რუსეთისთვის ხელსაყრელია და მათი ინტერესების გატარებას ემსახურება. რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ გალში მცხოვრები ქართველები რუსებისთვის პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენენ, თუმცა თუ იქნება მოლაპარაკებისა და შერიგების სურვილი აფხაზებთან, ამას რუსეთი არ დაუშვებს.

„ამ ეტაპზე მგონია, რომ იმ იდეას, რა იდეასაც რუსები ისურვებდნენ რომ განევითარებინათ, აფხაზები აკეთებენ. (რუსები) ასე მკაფიოდ და მკვეთრად თითქოს არ ერევიან“ –(ექსპერტი N 2 , არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

მართალია ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ არ ერევა, თუმცა ის ფაქტი, რომ სასაზღვრო ხაზთან დგანან რუსები, ხელს უშლიან გალში მცხოვრებ ქართველებს რომ ჰქონდეთ კავშირი დანარჩენ საქართველოსთან, ოკუპაციის შედეგია და რუსების რეალურ მიზნებს ცხადყოფს.

3.2. ოკუპანტების მიერ მეგრელების ცალკე ერად წარმოჩენის მცდელობა - სეპარაცია ქართველებისგან

ძალიან საყურადღებოა ის, რომ აფხაზების მხრიდან ქართული იდენტობის გაქრობის ერთ-ერთი ხერხია მეგრელობისა და ქართველობის ერთმანეთისგან გამიჯვნა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია გალში მცხოვრები ქართველი - „მეგრელობს“ თუ „ქართველობს“. ითქვა, რომ აფხაზები ქართველებს მიიჩნევენ მათ მიმართ არაკეთილგანწყობილ ეთნიკურ ჯგუფად, გალში მცხოვრები ქართველების შემთხვევაში კი არ სურთ ეს დამოკიდებულება ჰქონდეთ. შესაბამისად ცდილობენ გალელებში დაინახონ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი, მეგრელები - როგორც ცალკეული ერის წარმომადგენლები.

„მეგრულობას უსვამენ ხაზს, მეგრული ენის ფაქტორს. გალელებს ეუბნებიან, თქვენ ქართველები კი არ ხართ, თქვენ ხართ მეგრელები.“ (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პროპაგანდისტები აქტიურად იყენებენ მეგრელობის ფენომენს მათი პირადი ინტერესებისთვის. ყველანაირად ცდილობენ ისეთი ნარატივების გავრცელებას, რომლებიც საფრთხეს უქმნის გალელების ცნობიერებას. ისინი ხაზს უსვამენ მეგრელებსა და ქართველებს შორის განსხვავებას და

აჯერებენ გალელებს, რომ ისინი არიან ქართველებისგან ჩაგრული ჯგუფი, აქვთ საკუთარი ენა და ეთნიკური იდენტობა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე დევნილებმა დისკუსიის მიმდინარეობისას გაიხსენეს მაგალითები, ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მის სანაცნობო წრეში იყო ადამიანი, რომელიც აფხაზურ პასპორტში მეგრელად ჩაეწერა. რესპონდენტები თვლიან, რომ აფხაზები მეგრელობას იყენებენ ქართული იდენტობის გაქრობის მიზნით და ამაში ისინი დიდ საფრთხეს ხედავენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა, რომ წარსულში ხდებოდა მისი ოჯახის წევრების ქართველად და მეგრელად იდენტიფიცირება ეს ტენდენცია კი მისი თქმით, ბოლო პერიოდშიც აქტუალურია, რაც მისი აზრით საფრთხის შემცელია.

საინტერესოა, ის თუ რა დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით გალელებს. როგორც უკვე ითქვა, გალში ძირითადი სასაუბრო ენა მეგრულია, გალელების ცნობიერებაში ქართველობა და მეგრელობა თითქმის ერთი და იგივეა.

კვლევის მონაწილე ექსპერტმა ისაუბრა შუა საუკუნეების ჯავახეთის მაგალითზე, როცა თურქეთი ქართველებს სარწმუნოების შეცვლას აიძულებდა. ამ დროს თურქეთზე დიდი გავლენა ჰქონდა ვატიკანს, რომლემაც აუკრძალა ოსმალეთის იმპერიას მის იმპერიაში მცხოვრები კათოლიკეებისთვის სარწმუნოების შეცვლა, შედეგად საქართველოში მცხოვრები ბევრი მართლმადიდებელი გახდა კათოლიკე, მათ გადაწყვიტეს შედარებით ახლო რელიგიის მიღება. ამ მაგალითით მან პარალელი გაავლო გალში არსებულ მდგომარეობასთან. როდესაც გალელს უწევს არჩევანი გააკეთოს ქართულსა და მეგრულს შორის, იგი თვლის, რომ ქართულის მეგრულით ჩანაცვლებით მის ცხოვრებაში არაფერი იცვლება და ქართველობის დაკარგვას საფრთხე არ ემუქრება, რადგან ოჯახში, მეგობრებში, ქალაქში ისედაც მეგრულად საუბრობდა. ურთიერთობები იცვლება თბილისთან, რომელიც გალელისთვის ისედაც არ არის ახლო. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეგრულად საუბარი გალში დაკავშირებულია ცხოვრების უსაფრთხო პირობებთან.

„ადამიანები ქართულს კი არ უარყოფენ, არამედ რადგან ეს უფრო კომფორტულია და ხარ უფრო უსაფრთხოდ თუ შენ მეგრულად საუბრობ. თავშეყრის ადგილებში ურჩევნიათ

ისაუბრობ მეგრულად, ვიდრე ქართულად ან თქვან, რომ ვარ მეგრელი და არა ქართველი.“ (ექსპერტი N 1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

3.3. განათლება და ქართული ენა როგორც მთავარი იარაღი ქართული იდენტობის გაქრობისთვის

თავდაპირველად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი არის ენა, რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული ცნობიერებისთვის. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით დადასტურდა, რომ ქართველები მიიჩნევენ რომ მათთვის კულტურული იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი მარკერებია: ენა, ისტორია, რელიგია და ტრადიცია. (Bogishvili, Osepashvili , Gavashelishvili, & Gugushvili, 2016)

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის ერთ-ერთი მთავარი იარაღი არის განათლება და ქართული ენის შეზღუდვა. როგორც აღინიშნა, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის პირველი ნაბიჯი იმისათვის, რომ დაეშორებინათ გალელები ქართულ სამყაროს, ეს იყო ქართული ენის აკრძალვა. იდენტობის ცვლილების კუთხით ყველაზე აქტიურად ხდება ენასა და განათლებაზე ზეწოლა. ამ კონტექსტში საინტერესოა საერთაშორისო ისტორიული მაგალითის განხილვა. ამერიკელი კოლონიალისტებისთვის განათლება იყო შეტევის პირველი სამიზნე და იარაღიც, რათა ებრძოლათ აბორიგენი ინდიელების იდენტობის წინააღმდეგ, რისთვისაც იყენებდნენ სკოლა-ინტერნატების სისტემას. ეს იყო სტრუქტურა, რომლიც ითვლებოდა კოლონიალისტების იმპერიალისტური მიზნის გამოხატულებად. (Pihama & Lee-Morgan, 2019)

ინდიელები ამტკიცებდნენ, რომ სკოლა-ინტერნატების მიზანი იყო აბორიგენი, ადგილობრივი ხალხის ასიმილაცია დომინანტურ კულტურასთან. გავრცელებული ნარატივის მიხედვით, იმისათვის რომ ინდიელი გამხდარიყო ნამდვილი, სრულფასოვანი ინდივიდი, უნდა დაეკარგა და უარი ეთქვა საკუთარ კულტურასა და ენაზე. ინდიელებს აიძულებდნენ უარი ეთქვათ საკუთარ რელიგიაზე, ტრადიციებზე. სკოლებში კრძალავდნენ მშობლიურ ენაზე საუბარს, ძველი თაობის ინდიელები ყვებოდნენ რომ ამ პოლიტიკის შედეგად სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ენაზე ერთხელაც აღარ ულაპარაკიათ. (Pihama & Lee-Morgan, 2019)

საინტერესოა საბჭოთა კავშირის მაგალითი: 1924 წელს მათ დააარსეს დეპარტამენტი ჩრდილოეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მართვისთვის, სადაც აქცენტი კეთდებოდა მათი ტრადიციების შენარჩუნებაზე, თუმცა საბოლოოდ ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნების მექანიზმი გადაიქცა სრული ასიმილაციის პოლიტიკად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრკ-მ რუსიფიკაციის პროცესი დაიწყო. ჩრდილოეთის ეთნიკური ჯგუფები იძულებით დაასახლეს შერეულ კულტურებში, რათა ასიმილაციის პროცესი გაევლოთ რუსულ კულტურასთან. ეთნიკური უმცირესობების ახალ თაობას ორი წლის ასაკიდან ევალებოდა სკოლა-ინტერნატებში სწავლის დაწყება, სადაც მათ თავიანთ მშობლიურ ენაზე საუბარი ეკრძალებოდათ. 1970 წლიდან სკოლებში ძირძველი, ჩრდილოური ეთნიკური იდენტობის ენები სრულიად გაქრა და აღარ ისწავლებოდა. ბავშვები სახლში ბრუნდებოდნენ 15-16 წლის ასაკში, შედეგად ისინი ვერ ახდენდნენ იდენტიფიკაციას თავიანთ კულტურასთან, არ ფლობდნენ ენასა და ტრადიცებს, იყვნენ გაუცხოებულები თავიანთი საზოგადოებისგან. (Smith, 2009)

მნიშვნელოვანია თავიდანვე აღინიშნოს აფხაზების გეზი, რომ მათ აქვთ სურვილი ,,გარუსდნენ''. ამ პირობებში კი არსებობს არა მხოლოდ ქართული კულტურის, არამედ აფხაზური ენის გაქრობის რისკიც. აღსანიშნავია, რომ იუნესკომ აფხაზური ენა ოფიციალურად შეიტანა იმ ენების სიაში, რომლებიც გაქრობის საფრთხის წინაშე არიან. (შანიძე, 2021)

ქართულ იდენტობაზე შეტევის პროცესში მათ გაიაზრეს, რომ აფხაზურ ენას არ ჰქონდა საკმარისი პერსპექტივა და ძალა იმისა, რომ ჩაენაცვლებინა ქართული ენა, გამოსავალი

კი საგანმანათლებლო პროცესის რუსულ ენაზე გადაყვანა იყო. ერთ-ერთი ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ომამდე 58 სკოლიდან, მხოლოდ 3 სკოლა იყო რუსული. 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ტყვარჩელის რაიონის 10 სკოლაში ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა, 2008 წლიდან კი ქართულ ენაზე სწავლა-განათლება აიკრძალა: გაათავისუფლეს ქართველი პედაგოგები, ამოიღეს ქართული ენა - საქმის წარმოება, ჟურნალის შევსება, ყველაფერი რუსულ ენაზე გადავიდა. ქვედა ზონის 11 სკოლა 2014-2015 წლამდე ინარჩუნებდა ქართული სკოლის სტატუსს, თუმცა 2014-2015 წლებში გატარებული ზომების შედეგად, ყველა ქვედა ზონის სკოლის დაწყებითი კლასი გადავიდა რუსულ სწავლებაზე. დღევანდელი მონაცემებით, არათუ ქართული სკოლა, ქართული კლასიც კი არ არის დარჩენილი. გალის ზედა და ქვედა ზონის სკოლებში ქართული ენა და ლიტერატურა კვირაში მხოლოდ ერთხელ, თითო საათის დატვირთვით ისწავლება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ენის დაკარგვა არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მათ უბრალოდ ქართულად საუბარი არ ეცოდინებათ, იდენტობის კვლევის პროცესში მრავალი ასპექტი შემოდის, მათ შორის ის რომ აფხაზეთში დიდი ხანია არ ისწავლება საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა და თუ ისწავლება ეს არის გაყალბებული. პარალელურ რეჟიმში კი, მიმდინარეობს აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ დამახინჯებული ისტორიის გაძლიერებული სწავლება. შესაბამისად, ამ პროცესებით ხდება ახალგაზრდების ცნობიერებიდან ქართული იდენტობის მახასიათებლების ამოძირკვა, ამასთან ბავშვი რომელიც იღებს განათლებას რუსულად, ბუნებრივია მეტყველებს რუსულ ენაზე, შესაბამისად უჭირს ქართულად მეტყველება. მხოლოდ კლასგარეშე დახმარების, მშობლების ან პედაგოგების მიერ ხდება ამის კომპენსირება და ქართული ენის გაცოცხლება. აღსანიშნავია, რომ ბავშვებს გაურკვევლობაში უწევთ ცხოვრება, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ მიერ ქართული ენის ათვისებას: გალში ძირითადი სასაუბრო ენა მეგრულია, ზოგჯერ ესმით ქართულიც, ბაღში და სკოლაში კი ეჯახებიან რუსულს და უწევთ რუსულად განათლების მიღება. რამდენიმე ენის ერთდროულად შემოსვლა კი იწვევს სირთულეებს.

ფოკუს ჯგუფის პრაქტიკულად ყველა მონაწილე მიიჩნევს, რომ ქართული იდენტობის გაქრობის მთავრი იარაღი სწორედ განათლების სისტემაში არსებული მძიმე

მდგომარეობა და ქართული ენის შეზღუდვაა. დევნილები თვლიან, რომ იმ პირობებში როცა რუსული სისტემა (აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება) აქტიურად ზღუდავს ქართულ ენას, რთულია იქ მცხოვრებმა ადამიანებმა იზრუნონ თავიანთი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებაზე. დევნილებმა ასევე აღნიშნეს, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს უჭირს ქართულ ენაზე მეტყველება და წერა-კითხვა. საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რესპონდენტების 77.9% მიიჩნევს, რომ ადამიანის ქართველად აღქმისთვის მნიშვნელოვანია იგი ფლობდეს ქართულ ენას. (Bogishvili, Osepashvili , Gavashelishvili, & Gugushvili, 2016) ამის გათვალისწინებით, არსებობს რისკი იმისა, რომ თუ გალში გაქრება ქართული ენა, ეს გამოიწვევს გარკვეულ ეჭვებს- რამდენად შეძლებს ახალი თაობა მომავალში საკუთარი თავის იდენტიფიცირებას საქართველოსთან და მეორე მხრივ, ქართული საზოგადოება მომავალში რამდენად აღიქვამს მათ ქართული კულტურის წევრებად.

„როცა ჩემი თანატოლი გავიცანი, მან მთხოვა რომ მიმოწერა გამეგრძლებინა ლათინური ასოებით და თან მეგრულად, რადგან მას არ შეეძლო ქართულად მეტყველება და ზოგადად ქართულად კითხვაც კი.“ (მდედრობითი, 24 წლის, დევნილი გალიდან)

დევნილები და ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ ქართული ენის დაკარგვასთან ერთად არსებობს რისკი, რომ აფხაზური ენაც დაიკარგება. ერთი-ერთი ექსპერტის აზრით, ის რომ აფხაზები კარგავენ საკუთარ ენას, ეს მათი უმოქმედობის შედეგია, განსხვავებით ქართული ენისგან, რასაც იძულებითი ხასიათი აქვს.

„გაზეთებიც არ გამოდის აფხაზურ ენაზე;.... პარლამენტში დღემდე რუსულ ენაზე ლაპარაკობენ, აფხაზურად რომ გამოდის ვიღაც, სჭირდებათ თარჯიმანი...“ (ექსპერტი N1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი ძალიან დიდ მნიშნელობას ანიჭებს აფხაზური ენის გაქრობის პრობლემას. იგი ფიქრობს, რომ აფხაზური ენის შენარჩუნება გავლენას მოახდენს ქართული ენისა და ეთნიკური იდენტობის გადარჩენის საკითხზე.

3.4. გალში მცხოვრები ქართველების ოკუპანტების მიერ დაგეგმილ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებებში ჩართულობა

ექსპერტების აზრით, ქართულ კულტურასთან ემოციური კავშირი, ამ ეტაპზე, გარკვეული დოზით შენარჩუნებულია, რადგან ჯერ კიდევ არსებობს ინტერესი საქართველოს მიმართ. ამაზე მეტყველებს ის რომ ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს აქვს სურვილი უმაღლესი განათლება მიიღოს თბილისში, ასევე ის, რომ ბოლო ზარის ცერემონიის წარმართვა მოსწავლეებს ქართულად სურდათ, ქართული სიმბოლიკითა და ენით. რესპონდენტების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ დღევანდელი მდგომარეობით კავშირი სრულად დაკარგული არ არის, რაც იძლევა პოზიტიურად ფიქრის საშუალებას.

თუმცა ზემოაღნიშნული ფაქტები არ იძლევა სიმშვიდის საფუძველს. როდესაც საუბარია საფრთხეზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიემართოს ბავშვების, ახალი თაობის მდგომარეობას. ქართულ კულტურასთან ემოციური კავშირის გაქრობა უკავშირდება ენის, ხელოვნების გაქრობას. სამწუხაროა, რომ ბავშვებმა არ იციან ქართული სიმღერები. ამასთან არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული კულტურული ძეგლების პრობლემა. ისეთი ძეგლები რაც ქართული იდენტობისა და ისტორიის მახასიათებელია, გადაღებილია თეთრად.

ერთ-ერთმა ექსპერტმა ახსენა, რომ დროთა განმავლობაში თუ სიტუაცია ასე გაგრძელდება, ყველაზე დიდი რისკის ქვეშ ახალგაზრდობა აღმოჩნდება. მან გაიხსენა რომ მისი გალელი ნაცნობებიდან შვილებს ძალიან ბევრი ესაუბრება რუსულად, ასევე სოციალურ სივრცეში ქართულის ან მეგრულის ნაცვლად იყენებენ რუსულ ლექსიკას, მომრავლდა საფლავის ქვაზე რუსულენოვანი წარწერები.

საქართველოსათან ემოციური კავშირის წყვეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხია. ექსპერტებმა ისაუბრეს გალში მცხოვრები ქართველების ჩართულობაზე ოკუპანტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ისინი თვლიდნენ, რომ აღნიშნული ფაქტი ნამდვილად წარმოადგენს პრობლემას და შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ახალი თაობის ცნობიერებაზე, რაც უკავშირდება მათი ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების საკითხს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების ნაწილი ამ ჩართულობას უკავშირებს აფხაზების იძულების პოლიტიკას, ნაწილი კი თვლის, რომ მაინც არსებობს გამოსავალი და უარის თქმის შესაძლებლობა, რათა მათ თავი აარიდონ ოკუპანტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას.

„არის შესაძლებლობა რომ 9 აპრილს დროშა [აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დროშა] არ აფრიალო მოსკოვში. ეს მაინც არჩევანია, ეს შეგნებული ნაბიჯია, მისი პასუხისმგებლობაა....მშვიდად კი არ უნდა ვიყოთ. ეს პროცესი თანმიმდევრულია. ანსამბლში მოცეკვაეთა წრე შეიძლება გაიზარდოს და სხვა სფეროებიც მოიცვას.“ (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ოკუპანტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართვა აყალიბებს ჰიბრიდულ აზროვნებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანი შესაძლოა თავს გრძნობდეს ქართველად, იდენტიფიცირდებოდეს როგორც ქართველი, თუმცა ამავდროულად შეეძლოს კიდევ ერთი ბუნების შეთავსება და დე-ფაქტო მთავრობის მიერ აღიარებული სოციალური, კულტურული ნორმების გაზიარება. ცნობიერების მსგავსი ცვლილება ეტაპობრივად, შესაძლოა გაუაზრებლად მიმდინარეობდეს, ადამიანი სპონტანურად ხდება ამ მოვლენის ნაწილი, ამ პროცესში ვერ ხედავს წინააღმდეგობას და არ უჩნდება ბუნდოვანების განცდა. ამ კონტექსტში საინტერესოა სიმბოლური ძალადობის ფენომენი, რა დროსაც ძალადობა მოქმედებს სიმბოლური კატეგორიებით, ამ პირობებში ადამიანები აკეთებენ იმას, რაც მისთვის ბუნებრივია. სიმბოლური ძალადობა თავის მიზანს აღწევს იმით, რომ აიძულებს

ადამიანებს იმოქმედონ ნებაყოფლობით, ისე რომ ამ პირობებში ვერ გაიაზროს ის ზიანი, რაც ადგება. (Wiegmann , 2017)

3.5. აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებრივი მდგომარეოება

აუცილებელია ყურადღების გამახვილება უფლებრივ მდგომარეობაზე, როცა არსებობს საფრთხე, რომ გალში მცხოვრებმა ქართველებმა შეიძლება დაკარგონ საკუთარი ეთნიკური იდენტობა. პირველ რიგში მნიშვნელოვანია იმის განხილვა თუ რა დამოკიდებულება აქვთ აფხაზებს გალელების მიმართ. ექსპერტებმა ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ აფხაზები გალელებს მიიჩნევენ საფრთხედ. მათთვის დიდი გამოწვევაა ის, რომ გალელები რაოდენობრივად ბევრნი არიან. ამასთან ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ აფხაზებს არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოექცნენ გალელებს. მათ აფხაზეთი წარმოუდგენიათ დამოუკიდებელ ქვეყანად, თუმცა მათთვისაც ალოგიკურია ის ფაქტი, რომ მოსახლეობის უმრავლესობა არ ითვლება მოქალაქედ და ფლობს ბინადრობის მოწმობას.

„მთელი ცხოვრება ბინადრობის მოწმობას ხო არ მისცემ. ერთი მხრივ არ უნდათ რომ უმცირესობაში აღმოჩნდნენ... არიან გამოუვალ მდგომარეობაში, არ იციან როგორ მოიქცნენ.“ (ექსპერტი N 2, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

შეიძლება ითქვას, რომ გალში მცხოვრები ქართველები აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობისთვის ,,უცხოდ'' აღიქმებიან. ზიმელის მიხედვით, ,,უცხო'' არის ადამიანი რომელიც ვერ თავსდება მეგობრობა-მტრობის დიქოტომიაში. (Georg Simmel, 1908)

ასევე, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი აფხაზებისთვის მათი რუსიფიცირებაა, დიდ კულტურაში შესვლა. ექსპერტთა თქმით, აფხაზებმა დიალოგის დროს აღნიშნეს, რომ ისინი იაზრებენ თავიანთი პოლიტიკის სიმძიმეს ქართველების მიმართ. აღნიშნავდნენ, რომ აფხაზები ახლა ახორციელებენ ისეთ პოლიტიკას, როგორიც წლების წინ ქართველებმა გაატარეს მათ მიმართ. პატივს არ სცემდნენ მათ ენასა და კულტურას, რამაც გამოიწვია კონფლიქტი. აფხაზების ნაწილი გალელების პრობლემას იაზრებს, თუმცა პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გალელში ხედავენ „მტერს“ და ჰუმანური კუთხით აღარ უყურებენ მათ საჭიროებებს.

აფხაზები მაქსიმალურად ცდილობენ გალში მცხოვრები ქართველების უფლებების შელახვასა და დისკრიმინაციას, რაც გამოიხატება: გადაადგილების შეზღუდვაში, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების აკრძალვაში, სტუმრის სტატუსის მინიჭებაში და ა.შ. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით გალში მცხოვრებ ქართველებს უწევთ აიტანონ ჩაგვრა და იცხოვრონ შიშში.

ერთ-ერთი მთავარი ბარიერი გალელებისთვის თავისუფალი მობილობისა და გადაადგილების შეზღუდვაა, რაც ზრდის რისკს, რომ გალსა და დანარჩენ საქართველოს შორის გაღრმავდება გაუცხოება. დოკუმენტების არ ქონა ქმნის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ენგურს აქეთ გადმოსვლისთვის.

ამასთან გალელებს შეზღუდული აქვთ უფლებები საკუთარ ქონებაზე, რადგან არ აქვთ აფხაზეთის დე-ფაქტო პასპორტი. პასპორტის ალტერნატივა გალელებისთვის არის ბინადრობის მოწმობის აღება, თუმცა ამის აღების შემთხვევაშიც არ აქვთ ისეთი უფლებები, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობა, საკუთარ ქონებასა და სახლზე უფლების მოთხოვნა და ა.შ. ეს შეიძლება ჩაითვალოს სტუქტურულ ძალადობად, რომელიც გულისხმობს სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების ისეთ მოქმედებას, რომელიც წინააღმდეგობას უქმნის ადამიანებს რომ დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები. სტრუქტურული ძალადობა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ უსამართლობად, არის კონცეფცია რომელიც ნორვეგიელი სოციოლოგის - ი.გალტუნგის მიერ არის შემუშავებული. სტრუქტურული ძალადობა მოიცავს

კონკრეტული ჯგუფისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევას, რაც ჯგუფის შესუსტებას ისახავს მიზნად. (Turvey, Coronado, & Baltazar, 2022)

„ადამიანებს არ აქვთ დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება გადაადგილება. როდესაც ადგილობრივ მცხოვრებს აძლევ ბინადრობის უფლებას, მდგმურს უთანაბრებ." (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკველავარი)

მიუხედავად იმისა, რომ ბინადრობის მოწმობა დისკრიმინაციული ხასიათისაა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს დოკუმენტი ადგილობრივებისთვის მნიშვნელოვანია, რათა შედარებით გაუმჯობესდეს მათი ყოველდღიური ყოფა.

მნიშვნელოვნად ირღვევა ადამიანების უფლებები განათლების მშობლიურ ენაზე მიღების კუთხით. სამწუხაროა რომ, გალში ქართულ ენაზე სწავლება აიკრძალა. გარდა ამისა არსებობს შიში, რომ ქართულ ენაზე საუბარს მოჰყვება სადამსჯელო ღონისძიებები. ამასთან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება არაპირდაპირ აიძულებს სკოლებს, ოჯახებს, მასწავლებლებს, ბავშვებს რომ ჩაერთონ რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის დაორგანიზებულ პროპაგანდისტულ ღონისძიებებში. არსებობს რისკი, რომ უარის თქმის შემთხვევაში გალში მცხოვრებ ქართველებს ისევ მოუწევთ დევნილობის მძიმე გზის გავლა.

„შიშია გაბატონებული. თუ შენ არ მიიღებ მონაწილეობას ამათუიმ ღონისძიებაში, ვერ გააგრძელებ სწავლას სკოლაში, თუ მიიღებ ქართულ ღონისძიებაში დაისჯები და ბავშვიც დაისჯება, მასწავლებელიც, მისი ოჯახიც. გვქონია ჩვენ ასეთი მაგალითი, როცა სკოლაც დაატოვებინეს, ოჯახიც, მერამდენედ გახდა ლტოლვილი." (ექსპერტი N 3, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი)

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების უსამართლო ნაბიჯები გალში მცხოვრები ქართველების მიმართ არის სიმბოლური ძალადობის მაგალითი. ბურდიე სიმბოლურ ძალადობად მიიჩნევს ძალადობას, რომელიც ხორციელდება

კულტურული მექანიზმებით. ეს არის ძალადობა, რომელიც ინდივიდზე თავისივე თანამონაწილეობითა და ჩართულობით ხორციელდება. ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სიმბოლურ ძალადობას კი - განათლების სისტემაა. პირები, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას ცდილობენ ენისა და სხვადასხვა სიმბოლური სისტემების თავისმოხვევას ადამიანებზე. (ბერძენიშვილი, 2019)

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, მნიშველოვანია აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ადამიანის პატრიოტული ქმედების გახსენება, რომელმაც 27 სექტემებრს, როდესაც აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ,,გამარჯვების'' დღეს აღნიშნავდა, დემონსტრაციულად დაწვა აფხაზეთის - როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დროშა. ამ საქციელს მძიმე სადამსჯელო ღონისძიებები მოჰყვა აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ. (თავისუფლება, 2020) რაც უთანაბრდება უფლებების შელახვას, დისკრიმინაციას, ადამიანის შევიწროებას მისი პოლიტიკური თუ კულტურული შეხედულების გამო. ცხადია, იმ მძიმე პირობების ფონზე, რთულია მსგავსი პატრიოტული სულისკვეთების გამოვლინება და გაცხადება, შესაბამისად მსგავსი შემთხვევები იშვიათია. მოსახლეობას აქვს შიშისა და დაუცველობის განცდა, რადგან აქვთ მოლოდინი რომ პატრიოტულ ქმედებას მოჰყვება მძიმე რეაგირება დე-ფაქტო მთვრობის მხრიდან, ეს ზრდის მათი სიჩუმისა და შემგუებლობის ხარისხს. აქვე უნდა აღინიშნოს, საქართველოს სახელმწიფოს როლიც, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლებაშელახული ადამიანების დაცვის პროცესში. სამწუხაროა, რომ შემთხვევიდან 2 წელი გავიდა, ირაკლი ბებუა ისევ დე-ფაქტო მთავრობის ტყვეობაში იმყოფება და საიმედო გზავნილები საქართველოს მხრიდან არ ჩანს.

სიმბოლური ძალადობა ასევე მოიცავს ადამიანის ღირსების შელახვას დამამცირებელი ქმედების იძულებით. მაგალითად, ნაცისტურმა გერმანიამ ჰოლოკოსტი დაიწყო დამამცირებელი აქტებით, რაც მოიცავდა ებრაელების იძულებას ეტარებინათ ყვითელი ვარსკვლავების სიმბოლიკის ატრიბუტი, რაც მიანიშნებდა რომ ისინი იყვნენ დაქვემდებარებულნი. (Bornstein, 2005)

აუცილებელია ითქვას, რომ თუ ადამიანები თავს არ იგრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად, თუ ისინი იფიქრებენ და იგრძნობენ რომ საკუთარი ეთნიკურობის გამო არიან

ზეწოლის ქვეშ, ამ შემთხვევაში არსებობს იდენტობის დაკარგვის საფრთხე, რადგან ადამიანებს უწევთ ქრონიკულად დამალონ თავიანთი იდენტობა. არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, ერთ-ერთმა ექსპერტმა ისაუბრა ინტერნალიზების ფენომენზე, რაც გულისხმობს იმას რომ გაბატონებული კულტურა ჩაგრულ ჯგუფს სთავაზობს და აჯერებს არაობიექტურ რეალობას. (ლექსიკონი ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2016)

აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული პოლიტიკა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიმართ (ერთ-ერთი ასეთი ქმედება ბინადრობის მოწმობის გაცემაა) ჟენევის კონვენციის თანახმად ითვლება სერიოზულ დარღვევად. (ფიფია, 2018)

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები გალელები ერთ-ერთი ყველაზე ჩაგრული ჯგუფია, რომელთაც ეშინიათ პრობლემებზე ხმამაღლა საუბრის, რაც პირდაპირ კავშირშია მათ უსაფრთხოებასთან.

საინტერესოა გოფმანის დრამატურგიული თეორია, რომელიც ეხება ყოველდღიურ წარმოდგენას სხვების წინაშე. ინდივიდი ცდილობს საკუთარი ქმდების მოცემულ რეალობასა და კონტექსტზე მორგებას, ამ აქტივობით კი სამიზნე აუდიტორიისთვის შთაბეჭდილების მოხდენა სურს. ეს არის ერთგვარი პერფორმანსი, რომელსაც ინდივიდი ასრულებს ,,სცენაზე''. სცენასა და კულისებს მიღმა ქმედება ერთმანეთისგან განსხვავდება. აღნიშნულ თეორია შეიძლება მიესადაგოს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრების წესს, რომელიც გარკვეულ პერფორმანსს ჰგავს და დე-ფაქტო მთავრობის სურვილების შესაბამისად მიმდინარეობს. ქართველების იძულებითი საქციელი სცენაზე შესაძლოა არ ჩანდეს, თუმცა ,,კულისებს მიღმა'' მარტო დარჩენის დროს რადიკალურად განსხვავებული სახე ჰქონდეს. არსებობს გალში მცხოვრები ქართველების ის ნაწილი, რომელთაც უწევს მსგავსი პერფორმანსების წარმოდგენა, რათა უზრნუველყონ თავიანთი უსაფრთხოება. (Goffman, 1956)

ამასთან გალელებს აქვთ დაუცველობის განცდა, მიიჩნევიან ორმაგად მარგინალურ ჯგუფად. (თორია, 2022) ის რომ აფხაზეთში გალელები ცხოვრობენ შიშის ქვეშ, რომ

უწევთ დამალონ თავიანთი იდენტობა, უსაფრთხოების მიზნით, მიყვნენ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების რეფორმებს იწვევს იმას, რომ ეს ადამიანები ხდებიან კონფორმისტები. კონფორმულობა არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანს ახასიათებს შემგუებლობა, გაბატონებული წესრიგისადმი მორჩილება. ამ მიდგომის მიხედვით, ადამიანი ითვალისიწინებს გაბატონებული ჯგუფის მოლოდინებს, ცვლიან წარმოდგენებსა და ქცევებს, დომინანტური ჯგუფის მხრიდან არსებული წნეხის გამო. (სოციალურ და ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი, 2004)

ამ კონტექსტში საინტერესოა აკულტურაციის ფენომენი. ეს არის პროცესი, როდესაც ადამიანები იღებენ კულტურის ისეთ ღირებულებებსა და პრაქტიკებს, რომელიც არ არის მათი მშობლიური კულტურის ნაწილი. ინდივიდებმა ამ პროცესში შესაძლოა სრულად გადმოიღონ სხვა კულტურისა და საზოგადოების ფასეულობები, ან უარი თქვან და შერჩევითად აითვისონ ისინი. (Cole, 2019)

ექსპერტების აზრით, ამას ლოგიკური ახსნა აქვს. ადამიანი ცდილობს ყველაზე რთულ მდგომარეობაში, იპოვოს გამოსავალი და შეიქმნას ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობები, მაშინაც კი თუ უწევს საკუთარ ენაზე უარის თქმა.

„კომფორტული შეიძლება უხეში სიტყვაა, მაგრამ ახლოსაა სიმართლესთან - ისეთ პირობებს ეძებენ, სადაც მშვიდად იცხოვრებენ და ამიტომ ეგუებიან რეალობას.“ (ექსპერტი N 1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ადამიანები პირველ რიგში ცდილობენ საბაზისო მოთხოვნილებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას. ადამიანები მიჰყვებიან, თანხმდებიან აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის სურვილებს, რადგან მათ აქვთ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების დაკარგვის შიში, სახლ-კარის დაკარგვის შიში. ადამიანების გარკვეული ნაწილი აღიარებს, რომ სიტუაცია შეიცვალა, თუმცა ისინი ვერ ტოვებენ საკუთარ სახლს, იქ სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, ვერ ტოვებენ წინაპრების საფლავებს.

„სანამ ფიზიკური გადარჩენის საფრთხე გიდგას, შენ ვერ ფიქრობ მაღალ მატერიებზე, ეს არის ძალიან მარტივი ამბავი.“ (ექსპერტი N 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

გიდენსის მიხედვით, ინდივიდს მიზანმიმართულად შეუძლია განსაზღვროს საკუთარი იდენტიფიკაციის პროცესი სოციალური ცვლილებებიდან გამომდინარე. (Giddens, 1991) ეს შეიძლება დაუკავშირდეს გალში მცხოვრები ქართველების გამოცდილებას, ადამიანების რომლებიც ნებით თუ უნებლიედ გახდნენ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ შექმინილი რუსული სივრცის წევრები და ფეხი აუწყვეს მათ პოლიტიკას.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ძალიან ხშირია კრიტიკა იმ ადამიანებისა, რომლებიც რჩებიან გალში და ეგუებიან რეალობას. ასევე, ითქვა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი აკრიტიკებს მათ, ვინც ტოვებს გალს. ამ პირობებში, მნიშვნელოვანია გააზრება, რომ ორივე მხარეს აქვს ლეგიტიმური მიზეზები, როგორც წასვლის, ისე დარჩენის.

„ბევრჯერ დაუყენებიათ ასეთი საკითხი, თქვენი პედაგოები რატომ არ აიმაღლებენ ხმას, რატომ არ შეებრძოლებიან... ეხლა ადვილია აქედან თქვა... [რთულია] გამოვიდნენ ადამაინები იქ სიტყვა თქვან, როდესაც სამწუხაროდ არიან უმცირესობაში...“ (ექსპერტი N 3 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი)

3.6. გალის ქართველებისგან დაცლის საშიშროება

გარდა იმისა, რომ არსებობს გალში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის საფრთხე, ექსპერტები საუბრობენ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, რაც გულისხმობს გალის რეგიონის ქართული მოსახლეობისგან დაცლას. ისინი პარალელს აავლებენ ახალგორთან, რომელიც ფაქტობრივად დაიცალა ქართველებისგან. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, ახალგორში არსებული დე-ფაქტო ხელისფულება ახორციელებს ე.წ ,,ოჯახების გაერთიანების'' პროგრამას, რომელიც არის საშუალება ახალგორში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობას დაატოვებინონ ტერიტორია. სამწუხაროდ, პროგრამაში ჩართულთა რიცხვი საფრთხის შემცველია. (ინსტიტუტი, 2020)

იმის გათვალისწინებით, რომ გალში მცხოვრები ქართველები არიან იმ ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ამყარებენ ქართულ კონცეფციას აფხაზეთში, გალის ქართველებისგან დაცლა პირდაპირ გულისხმობს აფხაზეთში ქართული იდენტობის გაქრობას.

„თუ ადამიანები იქ არ დარჩებიან, თუ ახალგაზრდები იქ არ დაბრუნდებიან, მაშინ არანაირი ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხე არ არის, რადგან არავინ იქნება ის ვინც ქართული იდენტობა შეიძლება დაკარგოს ან შეინარჩუნოს.“ (ექსპერტი N 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ექსპერტები საუბრობენ მიზეზებზე, თუ რატომ შეიძლება გალი დაიცალოს ქართველებისგან. ეს მიზეზები გულისხმობს, მძიმე უფლებრივ მდგომარეობას, გალში რუსული გარემოს არსებობას, უპერსპექტივობას. როგორც წინა თავებში აღინიშნა, გალში მძიმე უფლებრივი მდგომარეობაა, რაც მოიცავს რთულ ეკონომიკურ, სოციალურ პირობებს, ეს ხელს უწყობს მოსახლეობის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოსვლას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული პრობლემა და დაცლის რისკი სწორედ ახალგაზრდებშია, რომლებიც ვერ ხედავენ უკუპირებულ ტერიტორიაზე განვითარების შესაძლებლობას. გალში

სამუშაო ადიგლები საკმაოდ მცირეა, შემოიფარგლება მხოლოდ სკოლაში და სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებით, ვაჭრობით, ხელოსნობით.

თუ არსებობს იმის შანსი, რომ მშობლების თაობა უფრო მეტად შეეგუება ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ რეჟიმს, მათი მძიმე გამოცდილებისა და ტრავმირებული ცხოვრების გამო, მათ აღარ ექნებათ სურვილი მიატოვონ საკუთარი სახლი და თავიდან გაიარონ დევნილობის მძიმე გზა - ახალგაზრდებში ნაკლებია ამის შანსი. ახალგაზრდები ნაკლებად ეგუებიან აფხაზეთში არსებულ მძიმე რეალობას, უფლებრივს თუ პოლიტიკურს. მათ აქვთ საშუალება იმისა, რომ უარი თქვან ამ ცხოვრებაზე და განათლების მისაღებად აირჩიონ საქართველოში წამოსვლა.

„ახალგაზრდები, რომლებიც ომის დროს ან შემდგომ დაიბადნენ. მოუწიათ გაჭირვებაში ცხოვრება, გალის სკოლაში ჩუმად სწავლობდნენ ქართულ ენას... როდემდე შეიძლება იყოს ასე ადამიანი. ამიტომ წამოვა საქართველოში.“ (ექსპერტი N 1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ერთი შეხედვით ის, რომ გალელი ახლგაზრდები ინტერესდებიან ქართული განათლებით - სასიხარულოა, თუმცა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსული ახალგაზრდების ოკუპირებულ აფხაზეთში დაბრუნების შანსი ძალიან დაბალია.

განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდების გარდა არსებობენ ოჯახები, რომლებიც ტოვებენ გალს უპერსპექტივობის განცდისა და უკეთესი პირობების მისაღებად. ექსპერტის აზრით ამას ბოლო სტატისტიკებიც მოწმობს. ქართული იდენტობის დაკარგვის კუთხით საფრთხე ორგვარია - ერთი მხრივ, ოჯახები ტოვებენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილს უპერსპექტივობის, გაუსაძლისი წნეხის გამო, მეორე მხრივ - გალში დარჩებიან ადამიანები, რომლებიც ამ სივრცეში და გარემოში თავს კომფორტულად იგრძნობენ, შეეგუებიან ამ სივრცეში არსებულ გაბატონებულ პოლიტიკას, ასიმილირდებიან მათთან.

„რაღაც ჯგუფი რჩება და ხდება მისი რუსიფიცირება და რაღაც ჯგუფი გამოდის...ბევრი ადამიანი აღარ ბრუნდება და არც უნდა წასვლა, ამბობენ: რაღა მინდა, იქ ჩემი სამშობლო არ არის, ანუ ქართული გარემო არ არის.“ (ექსპერტი N 1 დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ექსპერტები თვლიან, რომ მოსახლეობის დენადობა თუ ასე გაგრძელდა, ეს სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს და გალი დაიცლება ქართული მოსახლეობისგან.

საინტერესოა, ბაუმანის თეორია, რომელიც ეხება ამბივალენტობას. ბაუმანი თვლიდა, რომ მოდერნულობისთვის დამახასიათებელია წესრიგი, შესაბამისად იგი ებრძვის ამბივალენტობას. ბაუმანს რეალურ მაგალითად მოჰყავს ნაცისტური გერმანიის შემთხვევა, რომლებმაც მოახდინეს ებრალების, როგორც ,,უცხოების'' ამბივალენტური ბუნების მქონე ადამიანების გენოციდი. ისინი სწორედ ასე ცდილობდნენ წესრიგის მიღწევას. (კაჭკაჭიშვილი, პოსტმოდერნული სოციალური თეორია , 2018) იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობისთვის არიან ,,უცხოები'', მძიმე უფლებრივი მდგომარეობის შექმნა, ქართულ იდენტობაზე ზეწოლა არის ერთგვარი მცდელობა, რომ ქართველი მოსახლეობა აიძულონ დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი. ოკუპანტები ამ პრინციპით ცდილობენ ,,წესრიგის'' დამყარებას.

ასევე აღსანიშნავია, თუ რას გულისხმობს ჟენევის მე-4 კონვენცია. ეს უკანასკნელი კრძალავს უმცირესობათა ჯგუფების განდევნას. აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ცდილობს ისეთი გარემო-პირობების შექმნას, რომელიც განდევნის ექვივალენტურია, თუმცა ირიბად ხორციელდება, რის შედეგადაც გალში მცხოვრები ქართველების გარკვეული ნაწილი იძულებული ხდება დატოვოს ტერიტორია. (ფიფია, 2018)

3.7. საქართველოს სახელმწიფოს ჩართულობა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების პროცესში

გალში მცხოვრები ქართველების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მხარის აქტიური ჩართულობა. ექსპერტებმა ისაუბრეს საქართველოს სახელმწიფოს ჩართულობის ხარისხზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა განათლების მიმართულებით არსებულ პროგრამებზე. აღნიშნა, რომ რესურსცენტრი ამყარებს უწყვეტ კონტაქტს გალში მცხოვრებ მასწავლებლებთან, მშობლებთან და ბავშვებთან. სწორედ ამ კომუნიკაციის შედეგად ცდილობენ ბავშვების ჩართულობას საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი სხვადასხვა პროგრამებში. მისი თქმით, საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს მასწავლებლების ფინანსურ მხარდაჭერას, იქ მიღებული განათლების აღიარებას და ა.შ. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებაში სახელმწიფო გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს მხარს უჭერს.

„მე არ მახსოვს, არც წინა პერიოდში და არც ახლანდელ პერიოდში, შესაძლებლობის ფარგლებში რაც არის შესაძლებელი რომ გაიგზავნოს, რაღაც…თითქმის ყველაფერში გვაქ მხარდაჭერა.“ (ექსპერტი N 3, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი)

თუმცა აღსანიშნავია, რომ პანდემიის შემდეგ გარკვეული პროგრამების აღდგენა ვეღარ მოხერხდა, ამასთან ქართული წიგნების გაგზავნაც შეზღუდულია, რადგან ერთადერთ გადასასვლელ ხიდზე ქართულ ლიტერატურას არ ატარებენ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს აქვს დასახული 10 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პრობლემის მოგვარების კუთხით, თუმცა ის რომ საზღვარი ჩაკეტილია და მიმოსვლა შეზღუდული, მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნია. ამასთან მინისტრმა ინტერვიუში

აღნიშნა, რომ სახელმწიფოს შეუძლია უფრო მეტი აქტიურობითა და ჩართულობით მნიშნელოვანი როლი შეასრულოს სიტუაციის დასტაბილურების თვალსაზრისით.

„თუ ეს სახელმწიფოს, სახელმწიფოს შემავალი სტრუქტურების ყოველდღიურობა არ იქნა, მაშინ არ გამოვა არაფერი. თუ ეს დღისწესრიგში ყოველდღიურად გაქვს- მაშინ გამოვა“ (ექსპერტი N 5, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ჩართულობა მიმდინარე პროცესებში შეზღუდულია. თუმცა იმ რესურსების ფარგლებში რაც გააჩნიათ, მაქსიმუმს აკეთებენ. სხვადასხვა პროგრამების საშუალებით აქტიურად ხდება გალში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება. მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზური ენის გადარჩენა, რაც დაკავშირებულია ქართული ენის გადარჩენასთანაც.

დამოუკიდებელ ექსპერტებს სახელმწიფოს ჩართულობასთან დაკავშირებით ჰქონდათ განსხვავებული შეხედულება და აღნიშნულ საკითხზე კრიტიკულად იმსჯელეს. თავდაპირველად ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ აუცილებელია გაატაროს სამოქალაქო ღირებულებებზე დამყარებული პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობაზე და რომელიც ითვალისწინებს მოქალაქის უფლებებს. ერთ-ერთმა ექსპერტმა თქვა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ სამოქმედო გეგმას აქვს ფორმალური ხასიათი და პრაქტიკაში ნაკლებად ხორციელდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს დღის წესრიგში არ დგას გალში მცხოვრები ქართველების იდენტობის შენარჩუნების საკითხი. თვლიან, რომ სახელმწიფოს წამოყენებული საკითხები, მოლაპარაკებები, არის ფორმალური და აქვს ფასადური სახე, შინაარსისგან დაცლილია და რეალურად არ ემსახურება პრობლემის მოგვარებას. ამასთან ის დახმარება, რასაც სახელმწიფო გზავნის გალში არის ქაოტური და არ არ აქვს დაგეგმილი პოლიტიკის სახე.

„კონკრეტულად ადამიანზე უნდა იყოს ორიენტირებული, ადამიანის საჭიროებაზე, ეკონომიკურზე, კულტურულზე, სოციალურზე. მე არ მაინტერესებს, აბსტრაქტურული ფსევდოსენტიმენტები. ცარიელი მითია, ცარიელი აღმნიშველი გახდა აფხაზეთი.“ (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ექსპერტები საუბრობენ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, რაც გააუმჯობესებს გალში მცხოვრები ქართველების უფლებრივ მდგომარეობას, შეუნარჩუნებს და გააძლიერებს მათ ეთნიკურ იდენტობას: განათლების კუთხით ექსპერტები ძირითად საკითხად მოიაზრებენ სტიპენდიების გაცემას, გაცვლითი პროგრამების არსებობას, მათ შორის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც დაეხმარებათ ბავშვებს, რომ გაუჩნდეთ ქართულად საუბრის საჭიროება და მათი კავშირი ქართულ სივრცესთან და კულტურასთან გაღრმავდეს. პრაქტიკულად ყველა ექსპერტი საუბრობდა გალში მცხოვრების მასწავლებლების არასაკმარის ანაზღაურებაზე. იმის გათვალისწინებით რომ ქართულენოვანი მასწავლებლების გალში ყოფნა არსებითად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა შეინარჩუნონ ქართული ეთნიკური იდენტობა, აუცილებელია მათთვის მაღალი ანაზღაურების შეთავაზება და ისეთი პირობების შექმნა, რაც მათ აგრძნობინებს, რომ ისინი არიან საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები, რაც მათ მისცემს გალში საქართველოს ინტერესების გატარების უფრო მეტ მოტივაციას.

ექსპერტებმა ასევე ახსენეს, რომ ზოგადი სურათის გაუმჯობესებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია არაფორმალური ჩარევა, საქმის „ჩუმად“ წარმოება. აუცილებელია აფხაზებთან უშუალო, აქტიური კომუნიკაცია და მოლაპარაკების წარმოება, რაც ხელს შეუწყობს გალელების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ასევე მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობენ ფოკუს ჯგუფში მონაწილე დევნილები. მათი აზრით, სახელწმიფოს ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში არ არის საკმარისი. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. მათი აზრით, მნიშვნელოვანია აფხაზებთან კომუნიკაცია და მოლაპარაკება, ისინი მაქსიმალრად უნდა ეცადონ, რომ გადარჩეს ქართული ენა და კულტურა აფხაზეთში.

„ამ პროპაგანდის ფონზე, რომ ქართველებმა არ დაკარგონ იდენტობა, სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს მხარდაჭერა. დღესდღეობით ისეთი რეალობის წინაშე ვდგავართ, რომ თვითონ სახელმწიფო გახდა ნეიტრალური, შეგუებადი ამ მოცემულობის მიმართ და ვტრიალებთ ერთ წრეზე, არანაირი სასიკეთო შედეგი არ ჩანს და იმ მოსახლეობაში იმედი აღარ არის. მთავარი ძალა უნდა მოდიოდეს სახელმწიფოსგან. სახელმწიფოს ჩართულობა ნაკლებია.'' (მდედრობითი, 26 წლის, დევნილი გალიდან)

დევნილებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობა ძალიან იმედგაცრუებულია და მათ აქვთ უნდბლობა საქართველოს ხელისუფლების მიმართ, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს ადამიანებს არ აქვთ მხარდაჭერა საქართველოს სახელმწიფოსგან, აქვთ მძიმე სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ართულებს მათ ყოველდღიურობას.

„აქვთ სრული უნდობლობა და არიან დიდ ნიჰილიზმში. არც იქით არიან აღიარებული და არც აქეთ, ძალიან მძიმე მდგომარეობაა გალში." (მდედრობითი, დევნილი სოხუმიდან)

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს - როგორც ექსპერტებმა, ისე ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის საჭიროებაზე. მათი აზრით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების საკითხში კერძო სექტორსაც დიდი როლი ენიჭება და მათი აქტიურობა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

3.8. რესპონდენტების სამომავლო პროგნოზი და განწყობა - დამოკიდებულება

სამომავლო პროგნოზსა და განწყობაზე საუბრის დროს ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სწორი მიმართულებით განვითარება მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოგვარებისთვის. ექსპერტები იაზრებენ პრობლემის სიმძაფრეს და აღნიშნავენ, რომ ნამდვილად არსებობს - აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის საფრთხე. ეს პროცესი თანმიმდევრულია და აუცილებელია მუდმივი ყურადღება. სამომავლო პროგნოზებე საუბრის დროს, ექსპერტები მიუთითებენ კიდევ ერთ საფრთხეზე - გალის რაიონის ქართული მოსახლეობისგან დაცლაზე. თუ მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით არ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან, სერიოზული საფრთხე არსებობს რომ გალი დაიცალოს ქართული მოსახლეობისგან.

„პრობლემა არის კომპლექსური, პრობლემა არ არის მხოლოდ განათლების, პრობლემა არ არის მხოლოდ ერთი მხარის....სხვა ფანჯრებიც აქვს ამ ოთახებს და ყველა ფანჯრიდან უნდა ვცდილობდეთ შევიდეთ და ზეგავლენა მოვახდინოთ, სადაც კი ზეგავლლენის მოხდენის შესაძლებლობაა. თუ არ გამოიყენებ ამ შესაძლებლობებს და იტყვი, რომ კარი დაკეტილია და აღარ მოძებნი სარკმელებს, საიდანაც შეგვიძლია შევაღწიოთ, მარტივია, არ გაქვს პასუხისმგებლობა." (ექსპერტი N 2, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა და მოსალოდნელი საფრთხისა, ექსპერტები იმედს არ კარგავენ, რომ რეალობა შესაძლოა სასიკეთოდ შეიცვალოს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშავენ, რომ ერთიანი ძალებით, საქართველოს სახელმწიფოს მკვეთრი ჩართულობითა და მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდება ზოგადი სიტუაციის პოზიტიური ცვლილება. ასევე აღინიშნა, რომ დიპლომატიური გზით კონფლიქტის მოგვარება ერთ-ერთ

ძირითად ალტერნატივად სახელდება. ახალგაზრდების ჩართულობას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ საკითხებში.

„უფრო მეტად ახალგაზარდებმა უნდა მოძებნოთ გზები თქვენ თანატოლებთან დიალოგისთვის, დიპლომატიური გზით, ალტერნატივა არ აქვს დიალოგს და პირისპირ შეხვედრას. შეიძლება ამაში ჭეშმარიტება დაიბადოს." (ექსპერტი N 3, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი)

ერთ-ერთმა ექპსერტმა აღნიშნა, რომ ქართველებს მოდერნიზებულობა ახასიათებთ და ახალი თაობისთვის შედარებით მარტივი გახდება აფხაზებთან საუბარი და მოლაპარაკების პროცესი. აგრეთვე, მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირისა და ნატოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს, რათა დადგეს დემოკრატიულ გზაზე, სწორი მიმართულებით, რასაც ექნება მნიშვნელოვანი გავლენა აფხაზეთზე. სწორედ აღნიშნული მიმართულებისა და არჩევანის საფუძველზე გახდება შესაძლებელი ქართულ-აფხაზური ურთიერთოების რეკონსტრუქცია, რომელიც იქნება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კონფლიქტის მოგვარების საკითხში.

„თუ საქართველო დაადგება ევროპულ გზას და გავხდებით ევროკავშირის და ნატოს მკაფიოდ გამოკვეთილი კანდიდატი, მჯერა, რომ საქართველო გამონახავს დემოკრატიულ გზას და სამოქალაქო ინსტიტუტებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს აფხაზებთან და ოსებთან და იტყვის, რა შუაშია ისტორია... ჩვენ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, ავიღოთ ვალდებულება ერთი სახელმწიფოს მართვაზე, მაშინ რაღაც შეიცვლება და მე მაქვს ამის იმედი." (ექსპერტი N 1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ერთ-ერთმა ექპსერტმა აღნიშნა, რომ დღესდღეობით არსებული სიტუაცია არ არის ჩვეული, რუსეთ-უკრაინის ომმა შესაძლოა ფუნდამენტურად შეცვალოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ირგვლივ მნიშვნელოვანი ცვლილეები მიმდინარეობს,

რამაც შეიძლება ასევე დიდი გავლენა იქნოს აფხაზეთის საკითხზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს მზაობა მოსალოდნელ პროცესებში, ექსპერტის თქმით, მოცემულმა მდგომარეობამ შესაძლოა გახსნას ახალი სივრცეები სამოქმედოდ - აფხაზებთან, მან აღნიშნა, რომ აფხაზებიც ამ საკითხზე ფიქრობენ.

„ასეთი რამე არ ყოფილა ომის დაწყებიდან დღემდე.... აფხაზეთი ომის დაწყებიდან დღემდე. შეიძლება გეოპოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს და ამან გახნსას ახალი სივრცეები სამოქმედოდ აფხაზებთან, აფხაზებიც ამაზე ფიქრობენ." (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილე დევნილთა აზრით, თუ არსებული რეალობა სასიკეთოდ არ შეიცვლება, პოზიტიური პროგნოზის გაკეთება რთული იქნება. მათი აზრით, დროის გასვლასთან ერთად სიტუაცია მით უფრო იძაბება, რადგან ვერ ხედავენ შესაბამის ქმედითუნარიაობას საქართველოს მთავრობის მხრიდან. რესპონდენტების აზრით, ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხე მძლავრია, თუმცა იმედს არ კარგავენ და თვლიან, რომ ხალხის ძალითა და ერთიანობით, მათი სწორი გადაწყვეტილების საფუძველზე, არსებული მძიმე მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება.

„მე ყოველთვის მაქვს შიში, რომ თუ ასე გაგრძელდა ყველაფერი, უბრალოდ დაიკარგება იდენტობა." (ექპერტი N 1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ფოკუს ჯგუფის განსაკუთრებულ საფრთხეს ახალგაზრდებში ხედავენ, მომავალ თაობაზე საუბრისას, მძიმდება სურათი, რადგან მათ შემთხვეაში ორმაგად რთულია შენარჩუნება ქართული იდენტობისა და მკულტურის. ისევე როგორც ექსპერტები, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიც მიიჩნევენ, რომ დიპლომატიურ გზით კონფლიქტის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თავი 4 . ძირითადი მიგნებები

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა საყურადღებო მიგნება - აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ გავრცელებული პროპაგანდა მნიშვნელოვნად ცვლის აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ცნობიერებას და ცდილობს, ინტენსიურ რეჟიმში, დააჯეროს ყალბი რეალობა;
- აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის მიზნით, ყველაზე მძლავრი იარაღი განათლების სისტემა და ქართული ენის აკრძალვაა;
- აფხაზეთში ხდება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის გაყალბება, ახალი თაობისთვის სიმართლისგან რადიკალურად განსხვავებული მოცემულობის შეთავაზება, რაც ზრდის იმის რისკს, რომ ახალგაზრდების ცნობიერება ნეგატიურად შეიცვლება და ქართულ ეთნიკურ იდენტობას საფრთხე დაემუქრება;
- ახალი თაობის ცხოვრებაში რამდენიმე ენის შემოსვლა იწვევს გარკვეულ სირთულეებსა და ბარიერებს. რუსულის, აფხაზურის, მეგრულის, რიგ შემთხვევებში ქართული ენების შემოსვლა იწვევს დაბნეულობას, რის შედეგადაც ბავშვმა, შესაძლოა, ვერ შეძლოს ენების სრულფასოვნად შესწავლა, ამ პროცესში გაუჭირდეს კონკრეტულ კულტურასთან იდენტიფიკაცია.
- ქართული ენის დაკარგვის საფრთხესთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს რისკი და ლოგიკური საფრთხე, რომ დაიკარგება აფხაზური ენაც, რომელიც ასევე პრობლემად აღიქმება.
- ოკუპანტების მიერ დაგეგმილ კულტურულ-შემოქმდებით ღონისძიებებში აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ჩართულობა საფრთხის შემცველია, რომ ქართველები მონაწილეობას ძირითადად გაუზარებლად იღებენ და ეს არის დაძალების პოლიტიკის შედეგი.
- არსებობს საშიშროება, რომ ოკუპანტების მიერ დაგეგმილ კულტურულ-შემოქმდებით ღონისძიებებში მონაწილე გალში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი გაიზრდება, რაც ქართულ ეთნიკურ იდენტობას და კულტურას საფრთხის ქვეშ დააყენებს.
- ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის რისკჯგუფს ახალი თაობა წარმოადგენს. განსაკუთრებით, სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც აუკრძალეს მშობლიურ ენაზე

განათლების მიღება და ამ ქმედებით ცდილობენ ახალგაზრდები დააშორონ ქართულ სივრცეს;

- კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში ქართველთა ჩართულობა ქმნის საშიშროებას, რომ ამ აქტივობით ქართველები დაკარგავენ ემოციურ კავშირს ქართულ კულტურასთან;
- აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებრივი მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ისინი არ აღიქმებიან სრულფასოვან მოქალაქეებად, უწევთ ბინადრობის მოწმობის აღება და სტუმრის სტატუსის შეთავსება;
- აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა გარუსების პოლიტიკას ატარებს, ასევე, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აფხაზებს არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოექცნენ გალში მცხოვრებ ქართველებს;
- გალში მცხოვრებ ქართველებს, მძიმე უფლებრივი მდგომარეობის, შიშისა და მუდმივი დაძაბულობის გამო უწევთ მიჰყვნენ დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას, რის შედეგადაც ხდებიან კონფორმისტები და ეგუებიან არსებულ რეალობას.;
- მძიმე უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული ხდება დატოვოს მშობლიური კუთხე, ამ პროცესის ინტენსიურ რეჟიმში წარმართვა პირდაპირ კავშირშია ტერიტორიის ქართველებისგან დაცლის საშიშროებასთან;
- ახალგაზრდების საცხოვრებელი ადგილის დატოვების ძირითადი მიზეზი მუდმივი წნეხი, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების აკრძალვა და უპერსექტივობა ხდება;
- საქართველოს სახელმწიფოს ჩართულობა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების საკითხში საკმარისი არ აღმოჩნდა.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი მიგნება - ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომი და დღევანდელი პოლიტიკური პროცესები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე.

4.1 შემაჯამებელი დასკვნა

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობისა და გაქრობის საფრთხეების შესწავლა. კვლევის სამიზნე ჯგუფი შედგებოდა კონკრეტული დარგის სპეციალისტებისგან, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ცოდნასა და კომპეტნციას ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, იდენტობისა და კონფლიქტების საკითხებში, აგრეთვე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 6 ექსპერტული იტერვიუ და 2 ფოკუს ჯგუფი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ადამიანებთან. ექსპერტული ცოდნის გაზიარების გარდა, კვლევისთვის საინტერესოა უშუალოდ დევნილების წარმოდგენების შესწავლა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობისა და კულტურის გაქრობის საფრთხეებთან დაკავშირებით.

კველევის შედეგად გამოვლინდა, რომ აფხაზეთში მოქმედებს დე-ფაქტო მთავრობისა და რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ერთობლივი პროპაგანდა, რომელიც ემსახურება ზოგადად აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის და, მათ შორის, ეთნიკურად ქართველი ადამიანების ცნობიერების შეცვლას. აღსანიშნავია, რომ პროპაგანდისტული მიზნების განხორციელებისთვის ძლიერი იარაღია განათლების სისტემაზე შეტევა და დამახინჯებული ინფორმაციით მანიპულირება. ასევე, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზებისთვის საყურადღებო და საფრთხის შემცველია გალში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ადამიანების ფიზიკური არსებობა. შესაბამისად, მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებსა და გზებს, რათა გალში დათრგუნონ და შეამცირონ ქართველობის განცდა. ამ ფაქტით დასტურდება კვლევის ერთ-ერთი ჰიპითეზა - აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა განათლებას იყენებს მანიპულაციის იარაღად, იმისათვის რომ გავლენა მოახდინოს მოსახლეობის ცნობიერებაზე და ნეგატიურად განაწყოს ქართული სივრცის მიმართ.

ზემოაღნიშნული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება ქართული ენის შეზღუდვაა. აფხაზეთის-დეფაქტო მთავრობამ გალში სრულად აკრძალა ქართულ ენაზე სწავლება, რის შედეგადაც ახალი თაობისთვის ქართული ენა ხდება - უცხო. მეტიც, ბევრი ახალგაზრდა, სამწუხაროდ, ვეღარ ფლობს ქართულს. ამ მიგნებით დადასტურდა კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზა - აფხაზეთში ქართული ენა, როგორც კულტურის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი - ქრება.

აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ქმნის რთულ უფლებრივ პირობებს, რაც გალელების ყოფას ოკუპირებულ ტერიტორიაზე კიდევ უფრო ამძიმებს. ეს გულისმხობს: თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას, არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარ ქონებაზე უფლების მოთხოვნის შეზღუდვას, სტუმრის სტატუსის შეთავსებას. ამ მოცემულობის ფონზე, გალში მცხოვრებ ქართველები ცდილობენ ყოველდღიურობის გამარტივებას და ისედაც მძიმე ყოფის შემსუბუქებას. შედეგად, გალში მცხოვრები ქართველების ნაწილი უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, ეგუება არსებულ რეალობას. ეს ქმედება კი შესაძლოა განიხილოს როგორც კონფორმზიმის მაგალითი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ მძიმე პირობების: უპერსპექტივობის, უიმედობის გამო, ექსპერტებმა და დევნილებმა ისაუბრეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეზე, რაც უკავშირდება გალის ქართველებისგან დაცლას. ვინაიდან, დღევანდელი მონაცემებით, აფხაზეთში ქართველები ძირითადად გალში ცხოვრობენ, გალის ქართველებისგან დაცლა დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის მატარებელი ადამიანი ფიზიკურად აღარ დარჩება.

აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ემოციური კავშირი ქართულ კულტურასთან ჯერჯერობით შენარჩუნებულია. ამ თვალსაზრისით საფრთხე არსებობს, თუმცა დღეის მდგომარეობით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ახერხებენ კავშირის შენარჩუნებას, რაც მათ ეხმარებათ იდენტობის შენარჩუნებაში. თუმცა, საყურადღებო და საფრთხის შემცველია აფხაზეთში მცხოვრები ქართველების კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართულობა, რომელიც ოკუპანტების მიერ არის დაგეგმილი. ექსპერტები ვარაუდოებენ, რომ ამ აქტივობაში ჩართული ადამიანების რაოდენობის ზრდა გამოიწვევს სერიოზულ საფრთხეს, რომელიც ქართული ეთნიკური

იდენტობის დაკარგავას ეხება. ოკუპანტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ქართველთა აქტიური ჩართულობის შედეგად, შესაძლოა გაქრეს ემოციური კავშირი ქართულ კულტურასთან.

კვლევის პროცესში გამოვლინდა საინტერესო მიგნება, რომელიც ეხება აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიზანს, რომ ქართველობა და მეგრელობა ერთმანეთისგან გამიჯნოს. აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ცდილობს, გალში მცხოვრები ქართველები დააჯეროს - იმაში, რომ მეგრელები დამოუკიდებელ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ და, შესაბამისად, მათი იდენტობაც განსხვავებულ მახასიათებლებს მოიცავს.

ზოგადად, გალში მცხოვრები ქართველების ცნობიერებაში მეგრელობა და ქართველობა იდენტურია, შესაბამისად ისინი აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ განხორციელებულ ამ პოლიტიკას, შესაძლოა ვერ აღიქვამდნენ ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხედ.

გალში მცხოვრები ქართველები უყურადღებობას განიცდიან როგორც აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მხრიდან, ისე საქართველოს სახელმწიფოსგან. ეს მეტყველებს მათ ორმაგად მარგინალურ ბუნებაზე. კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ საქართველოს ხელისუფლების ჩართულობა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით არ არის საკმარისი. ამ საკითხზე საუბრისას, მნიშვნელოვანია როგორც მთავრობის წარმომადგენლების შეხედულებების განხილვა, აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტებისა და აფხაზეთიდან დევნილი პირების. მთავრობის წარმომადგენლების აზრით, სახელმწიფოს აქვს შესაბამისი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ემსახურება აფხაზეთში მცხოვრები ქართველების პრობლების აღმოფხვრას და მათ საჭიროებაზეა მორგებული. რესპონდენტთა დიდი ნაწილი, როგორც ექსპერტების, ისე დევნილების, რადიკალურად აკრიტიკებდა სახელმწიფოს. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო არ არის ქმედითუნარიანი და არ აქვთ დაგეგმილი პოლიტიკა როგორც აღნიშნული პრობლემის, აგრეთვე, ზოგადად, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის მოგვარების კუთხით. ეს მოცემულობა ქმნის უიმედობის განცდას, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველები ნიჰილისტურად უყურებენ მომავალს.

ექსპერტებმა და აფხაზეთიდან დევნილმებმა ისაუბრეს სამომავლო პროგნოზებსა და განწყობებზე. პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი ფიქრობს, რომ იმ შემთხვევაში თუ სიტუაცია არ შეიცვალა, (რუსული პროპაგანდა ქართული ენის აკრძალვა, განათლების მანიპულაციის იარაღად გამოყენება, მძიმე უფლებრივი მდგომარეობა) დადგება სერიოზული საფრთხე იმისა, რომ აფხაზეთში გაქრეს ქართული ეთნიკური იდენტობა. სამომავლო პროგონოზზე საუბრისას ითქვა, რომ მოცემული მდგომარეობა გახდება აფხაზეთის ქართველებისგან დაცლის მიზეზი.

ექსპერტებმა ისაუბრეს საინტერესო და მნიშვნელოვან ტენდენციებზე: მათ აღნიშნეს რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებზე ბევრი ფაქტორია დამოკიდებული. რუსეთის დასუსტება და პოლიტიკური სურათის სასიკეთო ცვლილება იქნება გარანტი, რომ პრობლემის მოგვარების კუთხით მოხდეს მნიშვნელოვანი ძვრები.

თავი 5. რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები გადადგას: აუცილებელია დაგეგმილი პოლიტიკის გატარება, ასევე სისტემური ხასიათის სამუშაო პროცესები, იმისათვის რომ აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის გაქრობის საფრთხე არ გაძლიერდეს და არ დაიკარგოს ქართული და აფხაზური ენა.
- აქტიური მოლაპარაკებების წარმოება აფხაზეთის მხარესთან და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების უფლებრივი მდგომარეობის წინა პლანზე დაყენება;
- არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სასიკეთო გავლენის მოხდენის მიზნით, რაც ასევე ხელს შეუწყობს ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას.

- ქართული ეთნიკური იდენტობისა და კულტურის შენარჩუნების მიზნით, მნიშვნელოვანია აფხაზეთში მცხოვრებ ახალ თაობას ჰქონდეს უწყვეტი კავშირი ქართულ სივრცესთან, საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამების საშუალებით.
- აფხაზეთში მცხოვრები ქართველების დახმარება: ეკონომიკური, სოციალური, მორალური, სამართლებრივი გაძლიერება. მნიშვნელოვანია, გალში მცხოვრებმა ქართველებმა თავი იგრძნონ ქართული სივრცის ნაწილებად, საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად.
- მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახელმწიფომ გაატაროს ისეთი პოლიტიკა რომ გალი გახდეს პერსპექტიული ყველა თაობის წარმომადგენლისთვის, რათა არ ჰქონდეთ ტერიტორიის დატოვების სურვილი. ასევე, აუცილებელია დასაქმებული ადამიანებისთვის ღირსეული ანაზღაურების შეთავაზება. ქართული ეთნიკური იდენტობის გადარჩენისთვის კი განსაუთრებით მნიშვნელოვანია, მასწავლებლების მათი გადამზადება, წახალისება და უფრო მეტი ფინანსური მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა

Bauman , Z. (1998). *Postmodernity and its Discontents.* London.

Bogishvili, D., Osepashvili , I., Gavashelishvili, E., & Gugushvili, N. (2016). *Georgian National Identity:Conflicr and Integration.* Tbilisi: Nekeri.

Bornstein, A. (2005). Political Violence. *Encyclopedia of Social Measurement*.

Britannica. (2023). *Language*. Retrieved from britannica.com: https://www.britannica.com/topic/language

Cichocka, A. (2021, October 15). *The Falsification of Memory: History as a Tool of Communist Propaganda*. Retrieved from communistcrimes.org: https://communistcrimes.org/en/falsification-memory-history-tool-communist-propaganda

Cole, N. L. (2019, 11 08). *Understanding Acculturation and Why It Happens*. Retrieved from thoughtco.com: www.thoughtco.com/

FreeTibet. (n.d.). *Chinese occupation of Tibet*. Retrieved from freetibet.org: https://freetibet.org/freedom-for-tibet/occupation-of-tibet/

Georg Simmel. (1908). *Stranger.*

Giddens, A. (1991). *Modernity and Self-identity: Self and Society in The Late Modern Age.* Stanford University Press. .

Goffman, E. (1956). *THE PRESENTATION OF SELF.* Edinburgh: University of Edinburgh Social Sciences Research Centre.

Human Rights Watch. (2011, 2 18). *Georgians in Gali*. Retrieved from Human Rights Watch: https://www.hrw.org

Martinez, D. (2013). *School Culture and American Indian Educational Outcomes.* Denver : Elsevier Ltd.

Pihama, L., & Lee-Morgan, J. (2019). *Colonization, Education, and Indigenous Peoples.* Springer Nature.

Schmidt, U. (2008). *Language Loss and the Ethnic Identity of Minorities.* Flensburg: EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES.

Smith, A. (2009). *Indigenous Peoples and Boarding Schools:.* New York.

The importance of culture, language and identity. (n.d.). Retrieved from racismnoway.com.

Turvey, B. E., Coronado, A., & Baltazar, K. V. (2022). Integrated Forensic Assessments: A Psychosocial Approach With the Human Rights Perspective. *Criminal Profiling*, 205-234.

UNESCO. (2009). *The 2009 UNESCO Framework for Cultural Statistics (FCS).* Montreal, Quebec: UNESCO Institute for Statistics.

Wiegmann , W. L. (2017). Habitus, Symbolic Violence, and Reflexivity: Applying Bourdieu's Theories to Social Work. *The Journal of Sociology & Social Welfare*.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. (n.d.). Retrieved from abkhazia.gov.ge: http://www.abkhazia.gov.ge/page/zogadiMimoxilva?fbclid=IwAR3ObxOGzDxopaZlxqiqSglDxe5-LF3pBxxlKj3skwk23_ncHvXuwnJUCBc

ბელქანია, ბ. (2022, April 14). *რატომ გააქტიურდა აფხაზური მხარე სოციალურ ქსელებში.* Retrieved from gfsis.org.ge: https://gfsis.org.ge/ge/blog/view/1416.

ბერძენიშვილი, ა. (2019). *თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზანთარაია, თ. (2019, July 26). *რატომ სთავაზობენ გალელ ქართველებს გვარის აფხაზურად გადაკეთებას?* Retrieved from radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E

ზურაბაშვილი, თ. (2016). *მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში.* თბილისი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია.

თავისუფლება, რ. (2020, 12 8). *ირაკლი ბებუას 9 წელი მიუსაჯეს სეპარატისტული რეგიონის დროშის დაწვის და ამის "მძიმე შედეგებისთვის".* Retrieved from რადიო თავისუფლება: https://www.radiotavisupleba.ge

თარხნიშვილი, ნ. (2014, November 11). *აფხაზეთში ისტორიული კვალი იშლება.* Retrieved from radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/istoriuli-kvali-afkhazetshi/26685317.html

თორია, მ. (2022). *გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია.* თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

ინსტიტუტი, დ. კ. (2020, 11 27). *ახალგორი ადგილობრივი მოსახლეობისგან იცლება.* Retrieved from Democraty Research Institute: https://www.democracyresearch.org

კაჭკაჭიშვილი , ი. (2001). *სოციალური მოქმედების თეორიები.* თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო .

კაჭკაჭიშვილი, ი. (2018). *პოსტმოდერნული სოციალური თეორია .*

კახიშვილი, ნ. (2021, April 20). *გალი აფხაზურ და რუსულ კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკას შორის.* Retrieved from Netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/536612/

კოკაია, ლ., & ჭუმბურიძე, დ. (2022, სექტემბერი 27). *აფხაზეთის ომის მემკვიდრეობა ციფრებში.* Retrieved from radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge

კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი. (n.d.). *ასიმილაცია.* Retrieved from www.culturedialogue.com: www.culturedialogue.com

ლექსიკონი ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. (2016). Retrieved from კულტურული იმპერიალიზმი: http://dictionary.css.ge

ლექსიკონი, უ. ს. (1989). *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.* Retrieved from nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=28231

ოთხოზორია, მ. (2022, April 7). *გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია.* Retrieved from socialjustice.org.ge: https://socialjustice.org.ge/ka/products/gali-kartul-da-afkhazur-istoriul-tsarmosakhvebshi-ormagi-marginalobis-anatomia

პარლამენტი, ს. (2005, 04 06). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* Retrieved from matsne.gov.ge: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29224?publication=0

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (n.d.). Retrieved from Nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=19453

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (2021). *ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში.* თბილისი.

სოციალურ და ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი. (2004). თბილისი: ლოგოს პრესი.

ტოკლიკიშვილი, ლ. (2011, september 8). *მალე გალში აღარ დარჩება არც ერთი ქართველი.* Retrieved from for.ge: https://for.ge/view/6139/male-galSi-aRar-darCeba-arc-erTi-qarTveli.html

ფირანიშვილი, თ., ჯობავა, ლ., & მეარაყიშვილი, თ. (2021). *ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში.* თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

ფიფია, ს. (2018, 12 07). *ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა.* Retrieved from civil.ge: https://civil.ge

შანიძე, ა. (2021, october 27). *აფხაზური ენა და მის წინაშე არსებული საფრთხეები.* Retrieved from geocase.ge: https://www.geocase.ge/ka/publications/541/afkhazuri-ena-da-mis-tsinashe-arsebuli-safrtkheebi

შიში და გაურკვევლობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები გალში. (2019, october 9). Retrieved from chaikhana.media: https://chaikhana.media/ka/stories/890/fear-and-uncertainty-the-life-of-georgians-in-gali

ჩიჩუა, ნ. (2018, 10 31). *ბავშვებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება და იდენტობის დათრგუნვა გალში – ციხელაშვილის მოხსენება.* Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge

ცაავა, გ. (2015). *რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის 60-იანი წლები - XX საუკუნის 80-იანი წლები).* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა .

წოწკოლაური, გ. (2021). *კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური მუშაობა.*

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* თბილისი: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

ჰეივუდი, ე. (n.d.). *პოლიტიკური იდეოლოგიები.* თბილისი: ლოგოს პრესი.